# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 ნოემბერი 2008 №254 (3478) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიამოვნება ნერვების სუპერთამაშით

### დინამომ ვიტ ჯორჯია 15 წუთით არ გაახარა




## ბოლო მოსახვევის ჰემილტონი

### ორი წუთი, რომელმაც ფერარის და ბრაზილიის სიბიჟე სასოწარკვეთით შეცვალა



# ქართველები უცხოეთში




## კვირკველია შამპანურებში

### ყაზანი რუსეთის პრემიერია

ესეც ასე: სათათრეთის კლუბმა „რუბინმა“ რუსეთის პრემიერლიგა მოიგო. ცოტაღა აკლდათ ყაზანელებს ამ ტრიუმფამდე და აგერ, სამი ტურით ადრე მიუწვდომელნი გახდნენ — მათმა მდევარმა ცსკა-მ „სპარტაკთან“ წააგო, „რუბინმა“ კი გუშინ რამენსკოეში „სატურნს“ 2:1 სძლია და... სასიხარულოა, რომ სამი ქართველი ჩემპიონი გვყავს: დავით კვირკველიამ სეზონში მხოლოდ სამი თამაში გააცდინა, ლაშა სალუქვაძეც უმეტესად ძირითადის ფეხბურთელი გახლდათ, აი, ნუკრი რევიშვილს კი საერთოდ არ უთამაშია ძირითად გუნდში. „სატურნთან“ ქართველებიდან მხოლოდ კვირკველია იყო მინდორზე და სრულადაც ითამაშა. დათოს მაშინ დავუკავშირდით, როცა რუბინელები ყაზანში გასაფრენად ემზადებოდნენ — პირველი მილოცვები, სიხარული და შამპანურის ბათქა-ბუთქი უკვე იყო...

— გილოცავთ ჩემპიონობას! როდესაც პერიფერიის კლუბი ხდება ამხელა ქვეყნის ჩემპიონი, ორმაგად სასიხარულოა-ხოლმე. ალბათ, მაგარი ზეიმი გქონდათ...

— მადლობა. მთავარია, რომ თავიდან კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანეთ, პირველივე ტურიდან ვლიდერობდით და დავამტკიცეთ, რომ ამ სეზონში უძლიერესები ვიყავით. ახლა აეროპორტში ვართ. კი ვიზეიმეთ, მაგრამ მთავარი ამბები წინ გველოდება — როგორც გავიგე, ყაზანში აეროპორტში ბევრი გულშემატკივარი დაგვხვდება.

— მართალია, სეზონის წინ „რუბინმა“ შემადგენლობა გააძლიერა, მაგრამ ამდენ ძლიერ გუნდს თუ უპირობოდ აჯობებდით, ბევრს არ ეგონა...

— კარგ სტარტს დიდი მნიშვნელობა აქვს. საწყისი შვიდი თამაშიდან შვიდივე მოვიგეთ. ღმერთის წყალობით, შემდეგშიც ნორმალურად გავაგრძელეთ. მართლაც კარგი ფეხბურთელები გვყავს: სერბი სავო მილოშევიჩი, უკრაინელი სერგეი რებროვი, რუსეთის ნაკრების კაპიტანი სერგეი სემაკი... თანაც, „ზენიტმა“ სეზონი ჩააგდო, „სპარტაკსაც“ ძალიან ცუდი პერიოდი ჰქონდა და ეს გამოვიყენეთ.

— „სატურნთან“ ძნელი თამაში ყოფილა...

— დიახ. ყველაფერი ფრისკენ მიდიოდა და საბედნიეროდ, ბოლო წუთებზე მილოშევიჩმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

— ყაზანის კლუბის ჩემპიონობა რუსეთში ალბათ ბევრს არ ესიამოვნა. ამას გრძნობდით? არ ყოფილა ზეწოლა?

— ცოტ-ცოტას რომ დედაქალაქურ კლუბებს მიემხრობოდნენ მსაჯები, ამას მიჩვეულნი ვიყავით, თუმც დიდი ზეწოლა არ ყოფილა. მსაჯობაზე მაინცდამაინც ვერ ვიტყვი ცუდს.

— სალუქვაძე რატომ აღარ თამაშობს ბოლო ტურებში, ტრავმა აქვს ისევ?

— წინა ტურებისას ტრავმა ჰქონდა, დღეს კი, ალბათ, მწვრთნელმა ჩათვალა, ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელი არ დაეყენბინა. არ გარისკა.

— უმრავლესობის აზრით, კვირკველია ნახევარდაცვაში უფრო სარგებლიანია, მანდ კი სულ მცველად თამაშობ. იმ მხრივ უკმაყოფილო ხომ არ ხარ?

— არანაირად. ჯერ ერთი, მწვრთნელის გადასაწყვეტია, სად ვითამაშებ და მეორეც, მარცხენა მცველად „რუბინში“ მოსვლამდეც ხშირად მაყენებდნენ. ხან 3-5-2 სქემისას მთლიანად მარცხენა ფლანგის გაკონტროლება მიწევდა.

— ალბათ, „რუბინიდან“ წასვლაზე არც ფიქრობ...

— ჯერჯერობით, არა. აქ კმაყოფილი ვარ, თუმც რა იქნება შემდეგ, არ ვიცი. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. ეს სეზონი მშვენიერი გამომივიდა. მწვრთნელი თავიდანვე მენდო, 27 ტურიდან 24-ში ვითამაშე და თანაც, სულ ძირითადში.

— ბოლო წლებში ჯერ ცსკა-მ, მერე კი „ზენიტმა“ მოიგეს უეფას თასი, სხვა რუსული კლუბებიც წარმატებულად თამაშობენ ევროტურნირებზე. „რუბინს“ შეუძლია ევროპაში ხმაურიანად გასვლა?

— რატომაც არა... ვნახოთ. რუსეთის ჩემპიონები ტყუილად ხომ არ გავხდით?!

**ილია ნანოგაშვილი**

## ინსმა სკამისკენ გაიხედა და...

**პოლ ინსს** გაახსენდა, რომ გუნდში ზურაბ ხიზანიშვილიც ჰყავს. „ბლექბერნის“ თავკაცმა „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩის 77-ე წუთზე შეცვლაზე შეიყვანა ჩვენიანი და მანაც ერთი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო.

სხვათა შორის, „ვარდები“ ხიზანას შესვლამდე 1:2 აგებდნენ და ბოლოს გაათანაბრეს.

სულ არაფერს 13 წუთი სჯობია, მაგრამ ვეჭვობთ, ზურაბს ეს დრო აკმაყოფილებდეს — სავარაუდოდ, ზამთრიდან მას სხვა ინგლისურ კლუბში ვნახავთ.

ბუნდესლიგაში „შალკემ“ სტუმრად „კოტბუსს“ 2:0 სძლია და ლიდერთა ჯგუფს უფრო მიუახლოვდა. ლევან კობიაშვილი 90 წუთი მინდორზე იყო, ლევან ყენიას კი ტრავმა აქვს.

ალექსანდრე იაშვილმა 65 წუთი ითამაშა ახალი ბუნდესმონსტრის წინააღმდეგ — „კარლსრუე“ ლიდერ „ჰოფენჰაიმთან“ 1:4 დაიჩაგრა. „იაშკას“ კი დიდად აღსანიშნავი არაფერი შეუქმნია.

მეორე ბუნდესლიგაში არც ოთარ ხიზანეიშვილს („აუგსბურგი“) უთამაშია და არც დავით თარგამაძეს („ფრაიბურგი“). „აუგსბურგმა“ ქულა აიღო „ოსნაბრუკთან“ (1:1), „ფრაი“ კი 0:4 შერცხვა „ინგოლშტადტთან“.

მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“ დღეს „კაიზერსლაუტერნს“ შეხვდება.

იტალიაში „პალერმომ“ ლევან მჭედლიძის გარეშე მოუგო „კიევოს“ — 3:0. 18 წლის ქართველს ტრავმა ახალმოშუშებული აქვს და ამიტომ არ უთამაშია.

ლატვიის უკვე ჩემპიონმა „ვენტსპილსმა“ სტუმრად „რიგას“ 2:0 სძლია და ზურაბ მენთეშაშვილი შეუცვლელი გახლდათ, ასევე სრულად ითამაშეს „სკონტოში“ დავით გამეზარდაშვილმა და ლადო დვალიშვილმა. რიგელებმა 1:0 აჯობეს თამაშ პერტიას გაწვრთნილ „დინაბურგს“ და ეს ერთადერთი გოლი დვალიშვილმა შეაგდო.

პერტიას გუნდში პაატა დათუნაიშვილს არ უთამაშია.

ლიტვაში „კაუნასმა“ 2:0 სძლია ლიდერ „ეკრანასს“ და მასთან სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა. ნუკრი მანჩხავამ ეს მატჩი სრულად ჩაათამაშა.

სლოვაკეთში ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრა“ „არტმედიას“ სტუმრად 1:1-ზე გაეყარა.

ლილუაშვილი საწყისი ერთი საათი იყო მინდორზე და ძელს გაარტყა ბურთი.

უკრაინაში კიევის „დინამო“ ამჟამად „კარპატის“ შეესია და 4:0 გაანადგურა. კიეველთაგან მალხაზ ასათიანი განაცხადშიც არ გახლდათ, მას ბარძაყი აწუხებს.

დინამოელთა თავკაცმა იური სიომინმა გადაჭრით ვერ თქვა, მომჯობინდება თუ არა „ასათა“ შუა კვირაში „პორტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე.

ლვოველთაგან სანდრო გურულმა 90 წუთი ითამაშა, თუმც მძლავრ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო.

„დინამო 2“-ში ოთარ მარცვალაძემ 82 წუთი ითამაშა „ენერგეტიკთან“, მისიანებმა 3:2 მოიგეს, თუმც ოთარს გოლი არ გაუტანია.

გიორგი ციმაკურიძის „ზარია“ დონეცკში „შახტარს“ უგებდა, თუმც 1:3 დათმო. ქართველმა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ სრულად ითამაშა.

ლაშა ჯაკობიას „მეტალისტმა“ 2:0 აჯობა კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცს“: ქართველები საქმეში არ ჩარეულან.

ჩეხეთში „პლზენმა“ შინ 1:1 ითამაშა „იაბლონეცთან“; დიმიტრი ტატანაშვილი მინდორზე არ შეუყვანიათ.

და რუსეთი: ყაზანის „რუბინის“ ჩემპიონობის ამბავს ამავე გვერდზე წაიკითხავთ. ასე რომ, აქ აღარ დავკონკრეტდებით.

პრემიერლიგიდან ქვევით ეშვება ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგია“, რომელმაც შინ „ამკართან“ 0:1 დათმო. ქართველი ნახევარმცველი შეუცვლელად იყო მინდორზე და ბოლო წუთებზე სტუმართა მეკარემ შორიდან დარტყმული ძლივს აუღო.

ნალჩიკის „სპარტაკი“ შინ 1:1 გაეყარა „ტომს“. დავით სირაძემ სრულად ითამაშა, ალეკო ამისულაშვილი წინა ტურში გაძევების გამო ტოვებდა მატჩს, გოგიტა გოგუას უთამაშებლობის მიზეზი კი უცნობია.

სირაძემ დიდი ვერაფერი დააკლო „ტომის“ დაცვას.

„ლეგიონერ მწვრთნელებზეც“ ვთქვათ: შოთა არველაძე და „ალკმაარი“ ჰოლანდიის ერედივიზიონს ლიდერობენ — „ჰერენვენთან“ 3:3 ითამაშეს ამ უქმეებზე.

ისრაელის ჩემპიონატს ჰაიფას „მაკაბი“ ყორჩობს, სადაც გიორგი დარასელია გახლავთ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე.

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისმა“ კი „ინტერთან“ საჩემპიონთალიგო მატჩის წინ აპეპ-ი დაიბრიყვა — 2:0.

კლიმენტი წიტაიშვილმა ბოლო 20 წუთი ითამაშა.

„ანო“ მეორე ადგილზეა და ქულას აგებს აპოელ-იან.

**ილია ნანოგაშვილი**




ზურაბ ხიზანიშვილი




ვლადიმერ დვალიშვილი და დავით გამეზარდაშვილი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 9 ტური





ვიტჯორჯიელი ლუკა რაზმაძის პენალტს დინამოელმა დავით ოდიკაძემ პენალტითვე უპასუხა

# დინამო — ვიტ ჯორჯიას ნერვების სუპერთამაში

კობა ინასარიძე

„დინამო“ — „ვიტ ჯორჯიასგან“ დიდი და საინტერესო ამბები რომ იყო მოსალოდნელი, თქმა რად უნდა...

ერთმანეთისთვის ამ ერთობ პრინციპულმა მეტოქეებმა გუშინწინდელის ჩათვლით, 32 მატჩი მოიღიეს და ვერ ვიხსენებთ ამათ ისეთ შეხვედრას, ინტრიგას მოკლებული და უინტერესო ყოფილიყო.

აქამდე „დინამოს“ 11-ჯერ მოეგო, „ვიტ ჯორჯიას“ 10-ჯერ და, შაბათის თამაში ამგვარი სტატისტიკის გათვალისწინებითაც გახლდათ საყურადღებო...

„ვიტ ჯორჯიას“ შეეძლო „დინამოსთან“ უარყოფითი ბალანსის გათანაბრება, სტუმრები მოგებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ამ მატჩმა „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მე-11 ფრე მოიტანა და, შესაბამისად, ურთიერთშეხვედრებში წაგება-მოგების ბალანსი უცვლელი დატოვა.

ეს მატჩი კი ისე დაიწყო, თვალსასეიროდ უკეთესი რა უნდა ყოფილიყო. სტუმრები 15 წუთში ორგოლიანი სხვაობით დაწინაურდნენ და ამასთან, ერთი-ორჯერ ისე სახიფათოდ დაურტყეს დინამოელთა გაბონელ მეკარეს, შესაძლო იყო, მესამეც გაეტანათ, თუმცა დიდიე ოვონომ ირაკლი კლიმიაშვილს არ დაანება.

სამაგიეროდ, ოვონოსაც და მასპინძელ მცველებსაც მალევე ჯერ ჯაბა ლიპარტიამ აჯობა, შემდეგ ვახტანგ კვარაცხელიამ და პირველი გოლიც ვნახეთ: ფლანგიდან ლიპარტიას ჩაწოდებულ ბურთს კვარაცხელიამ ზუსტად შეურჩია ადგილი და თავურით გაიტანა.

„დინამომ“ თამაში ცენტრიდან განაახლა, შეტევის წამოწყება სცადა, მაგრამ ვინ ადროვა, ისევ ლიპარტიამ მცველებს რეტი დაასხა და ბოლოს წაიქცა. არბიტრმა მალხაზ ბეუქლიშვილმა ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა — ლუკა რაზმაძის დარტყმულს ოვონომ ვერაფერი მოუხერხა და 0:2.

ეს უკვე საკმაო უპირატესობა იყო, მაგრამ სტუმრად „დინამოსთან“, თანაც მატჩის დამთავრებამდე 75 წუთით ადრე, ვერც ერთი გუნდი ვერ ჩათვლის თამაშს მოგებულად.

„დინამოსაც“ სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა სხვაობის შესამცირებლად და მასპინძლებმა ეს პენალტით მოახერხეს: გიორგი მერებაშვილის დაბალზე დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ძელს რომ მოხვდა, იქვე მათე ვაწაძე აღმოჩნდა, მეკარეს დაასწრო, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილმა თავი ველარ შეიკავა და თავდამსხმელს ხელები ფეხებში გამოსდო. ამ დარღვევისთვის ბეუქლიშვილმა ბედიაშვილი გააფრთხილა, ხოლო „დინამოს“ სასარგებლოდ პენალტი დანიშნა — დავით ოდიკაძემ ბურთი ერთ კუთხეში დაარტყა, მეკარე მეორისკენ გადახტა.

გოლით შეგულიანებულმა „დინამომ“ იქვე, შტურმით სცადა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ სასწაულად გადარჩა — არც მერებაშვილს გაუმართლა და არც ვაწაძეს.

...რამდენიმე წუთით თამაში დაწყნარდა, მეკარეებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. მერე კი ისევ მერებაშვილის ჯერი დადგა, ვინც უკვე მერამდენედ მცველებს ჩამოუარა და ძალიან სახიფათოდაც დაარტყა: „დინამოს“ ლიდერს მიზნამდე სანტიმეტრები დააკლდა — ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

იქვე სტუმართა ძალიან ეფექტური შეტევაც ვიხილეთ, კლიმიაშვილის პასით ლიპარტია ოვონოსთან პირისპირ დარჩა, მას კი ველარ აჯობა.

სათქმელია, რომ პირველი ტაიმის თითქმის ყველა შეტევისას „ვიტ ჯორჯია“ მეტოქის დაცვის გარღვევას შუა ზონიდან ცდილობდა და რამდენჯერმე იყო ეპიზოდი, როცა სტუმრებს სულ ცოტა დააკლდათ „დინამოს“ კარამდე.

შესვენებაზე კი რაინერ ცობელმა სწორედ მცველები შეცვალა და გარკვეული გადაადგილებები გააკეთა. იქამდე საყრდენის პოზიციაზე მყოფი გიორგი ნერგაძე დაცვის ფლანგზე გაამწესა, მისი ადგილი ლევან ხმალაძეს ჩააბარა, დაცვის ცენტრში ძმები კაშიები გამოჩნდნენ.

მიუხედავად ამისა, „ვიტ ჯორჯიას“ შეტევები არ ნელდებოდა და „დინამოც“ გოლს რამდენჯერმე გადაურჩა.

ერთ ეპიზოდში არბიტრს სტუმართა სასარგებლოდ მეორე პენალტის დანიშვნაც შეეძლო, მაგრამ იყოყმანა და „ვიტ ჯორჯიას“ კუთხური ჩააწოდებინა. მერე იმავ კვარაცხელიას თავური ოვონომ გაჭირვებით მოიგერია. ხიფათი არც „ვიტ ჯორჯიას“ კარს დაჰკლებია, თუმც არც შემტევებს უმართლებდათ და მეკარეც ყოჩაღობდა...

და ამასობაში „დინამომ“ მაინც იძალა და ანგარიშის გათანაბრება შეძლო. მათე ვაწაძემ თავის ანგარიშზე მორიგი თავური გოლი მიითვალა — ოდიკაძის გამოზომილ ფლანგურ პასს მათემაც გამოზომილი დარტყმული შეაგება — 2:2.

ნერვების თამაშიც ამ გოლის შემდეგ უფრო გამძაფრდა, მეტოქეებმა ერთმანეთის კარისკენ კიდევ მეტი შემართებით გაიწიეს, ოვონოსა და ბედიაშვილს მოსვენება არ ჰქონდათ, მაგრამ უკვე თამაშის ბოლო იყო და ამ შეტევებს ცოტა მარილი აკლდა...

მოკლედ, ძალიან მაგარი თამაში ვნახეთ და ყოველ ტურში ერთი ასეთი მაინც თუ გამოერევა, საქმეც ეს იქნება...

თბილისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული. 1 000 მაყურებელი

### დინამო 2:2 ვიტ ჯორჯია

0:1 კვარაცხელია (11), 0:2 რაზმაძე (14პ), 1:2 ოდიკაძე (16პ) 2:2 ვაწაძე (67)

| დინამო | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| დინამო: ოვონო, ელიავა, ინწკირველი (შ. კაშია 46), გ. კაშია, თომაშვილი (ხმალაძე 46), ოდიკაძე, ნერგაძე, დილმელაშვილი, გველესიანი (სპასოევიჩი 82), გ. მერებაშვილი, ვაწაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ხურცილავა, რაზმაძე, ბექვაია, კლიმიაშვილი, გ. ჯანელიძე (კვალინიძე 52), ვ. კვარაცხელია (ბერიაშვილი 79), ლიპარტია (ყველაშვილი 88) |
| სათადარიგონი: ლორია; ნ. ფირცხალავა, ნ. ჯიშკარიანი, ჯიუსი | სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, ვასაძე, ი. სვანიძე, მაისაშვილი |
| მწვრთნელი: რაინერ ცობელი | მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: ბედიაშვილი (15), ნერგაძე (20), ხურცილავა (26), ხმალაძე (83)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ჯ. ტეფნაძე, გ. ყრუაშვილი; ი. ურუშაძე

დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე



ვახტანგ კვარაცხელიის გოლი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 9 ტური

ბორჯომი. 2 ნოემბერი. 14 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 1 000 მაყურებელი

## მესხეთი 2:2 ბორჯომი

0:1 კიკნაძე (12), 1:1 სამადაშვილი (40), 1:2 კიკნაძე (50), 2:2 სამადაშვილი (76)

| მესხეთი | ბორჯომი |
|---|---|
| მესხეთი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, გ. კვახაძე, რაქვიაშვილი, მემარნიშვილი, თედიაშვილი, მ. თაყაძე, ინასარიძე (კობესაშვილი 71), შ. გრიგალაშვილი, სამადაშვილი, სუდაძე (ქოჩორაშვილი 65) | ბორჯომი: შეყრილაძე, ი. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ვ. ხორგუაშვილი, ნ. ნოზაძე, ლ. ვაშაკიძე, ალავერდაშვილი (ქავთარაძე 78), კ. ავალიანი, ბეჟანიძე (ბაქრაძე 71), ი. კიკნაძე |
| *სათადარიგონი:* სუხიშვილი, ვ. გაგუა, მურმანიშვილი, ყურულაშვილი | *სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, ნ. ლომიძე, ვაჩიბერაძე, დ. გოგიჩაიშვილი, დევიძე |
| მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი |

გაფრთხილება: ვაშაკიძე (13), კიკნაძე (31), ინასარიძე (55), ბაქრაძე (85)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ა. გუნთაძე, თ. ხუჭუა, ხ. გაგნიძე

დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე; დირექტორი: მ. ნორაკიძე

# სამხრეთული ტოლ-სწორობა



კობა თედიაშვილი შეგირდებს გაუწყრა

**ნუკრი ლოლაძე ბორჯომიდან**

**მე-20** ეროვნულ ჩემპიონატში ახალციხის „მესხეთი" მეტოქეებს „ჯემალ ზეინკლიშვილზე" მასპინძლობს და „ბორჯომიც" სტუმრის სტატუსით იყო.

სამხრეთელთა დერბი ძალიან დაძაბული და თვალსასეირო გამოვიდა.

უკვე მე-2 წუთზე „მესხეთმა" შექმნა მომენტი — გურამ სამადაშვილმა გელა სუდაძე მოძებნა, რომელმაც კარში დაარტყა, თუმც ბექა შეყრილაძე ბურთს ადგილზე დახვდა.

ამის შემდეგ სუდაძის ჩაწოდებულს შოთა გრიგალაშვილმა შეაგება თავური, თუმც კარს ვერ დაუმიზნა, ერთ წუთში კი ბორჯომელებმა გაიხარეს — მარჯვენა ფრთიდან კონსტანტინე ავალიანმა ჩააწოდა საჯარიმოში, ბურთი მოიხელთა ირაკლი კიკნაძემ და შემობრუნებით ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა — 0:1.

სხვათა შორის წინა სეზონში კიკნაძე „მესხეთში" თამაშობდა.

ახალციხელები გაშვებული გოლის შემდეგ კარგა ხანს ვერ მოვიდნენ გონს, მერე და მერე კი ოდნავ დაალაგეს თამაში და 32-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ. გიორგი მემარნიშვილმა ოცდახუთი მეტრიდან დააქუხა, შეყრილაძემ თითები წაატანა და ბურთი ხარიხას მოხვდა. მიხეილ თაყაძე ამატებდა, მაგრამ მეკარე და მცველი დადგნენ საიმედოდ.

ახალციხელები შეტევებს აგრძელებდნენ და ტაიმის ბოლოს საწადელსაც მიაღწიეს. მარცხენა ფრთაზე კარგად გაისარჯა გრიგალაშვილი და საჯარიმოში ჩააწოდა, „ბორჯომის" მეკარემ ბურთი ვერ შეიმაგრა და სამადაშვილმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:1.

მეორე ნახევარი დაიწყო და მალევე ბორჯომელები ისევ დაწინაურდნენ — გენო ბეჟანიძემ გონივრული გადაცემით მეკარეს შეატოვა კიკნაძე და მასაც გატანა აღარ გასჭირვებია.

„მესხეთს" ყველაფერი თავიდან ჰქონდა დასაწყები — გიორგი სუხიაშვილის შეგირდები თავს კარგად იცავდნენ, კიკნაძე კი „მესხეთის" დაცვის აწიოკებას აგრძელებდა.

ახალციხელთაგან საუკეთესო იყო გრიგალაშვილი, ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა ორჯერ შორიდანაც სცადა გატანა, მაგრამ ვერ იხეირა — 76-ე წუთზე კი სამადაშვილს კიდევ ერთხელ გაუწია ასისტენტობა. „გრიგალას" მარცხნიდან ჩაწოდებულს საგოლე თავური მიაყოლა სამადაშვილმა და 2:2.

### პრესკონფერენცია

*გიორგი სუხიაშვილი:* დაძაბული მატჩი რომ იქნებოდა, თავიდანვე ვიცოდით. კარგი თამაში გამოვიდა. ორივე გუნდს შეეძლო მოგება. „მესხეთი" ჩვენზე ძლიერია და, რა თქმა უნდა, ფრით კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

*კობა თედიაშვილი:* თამაშით და შედეგით უკმაყოფილო ვარ. ასე იცის არაპროფესიონალიზმმა. წინა ტურში მოვუგეთ „მგლებს" და ფეხბურთელებს ეგონათ, რომ „ბორჯომსაც" ადვილად მოვუგებდით. მაგრამ ბოლოს ქულაც სანატრელი გაგვიხდა...

# მწვრთნელების ფიზიკური ახსნა-განმარტებანი

**ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

ზესტაფონი. 2 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 600 მაყურებელი

## ზესტაფონი 3:0 გაგრა

1:0 ონიანი (60), 2:0 გელაშვილი (80), 3:0 ნ. კვასხვაძე (87)

| ზესტაფონი | გაგრა |
|---|---|
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი, ძარია, ბენაშვილი (იონანიძე 55), დაუშვილი, ლომაშვილი (ფრიდოლინი 46), ჩასემი (ნ. კვასხვაძე 62), გელაშვილი | გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ტყემელაშვილი, გაბედავა, ყიფიანი, ზ. დათუნაშვილი (ფილია 69), შარიქაძე (ჩხაიძე 77), ზ. ძაგანია (ზ. მეტრეველი 84) |
| *სათადარიგონი:* ძაძამია, შ. ლონდაძე, სტეფანიშვილი, გ. ჭელიძე | *სათადარიგონი:* ა. კოტრიკაძე, ლალიანი, ხოკერაშვილი, ოქრიაშვილი |
| მწვრთნელი: თემურ მახარაძე | მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: გიგაური (19)

მსაჯები: მ. ურუშაძე, ი. უკლება, კ. ბერაძე, გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია; დირექტორი: დ. გვარამაძე

**მატჩი** ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო.

უფრო გამოცდილი ზესტაფონელები ლამობდნენ უპირატესობის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ ტოლს არც სტუმრები უდებდნენ.

მე-3 წუთზე მასპინძელი ვაჟა ლომაშვილი შეცდა, ჯემალ გაბუნიამ მას მოჰპარა ბურთი, მარცხენა ფრთაზე გავიდა და უძლიერესად დაარტყა — როინ კვასხვაძე შესანიშნავად გაისარჯა.

მე-9 წუთზე ისევ სტუმართა შეტევა იყო, მაგრამ ზამორა დათუნაშვილის დარტყმულს როინ კვასხვაძე ადვილად დაეუფლა.

ცოტა ხანი მცირე უპირატესობა სტუმრებისა იყო. ფლანგზე აქტიურობდნენ შარიქაძე და ძაგანია, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა.

მე-15 წუთზე ალექსი ბენაშვილმა ჯარიმა ძლიერად შეასრულა და რევაზ თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მასპინძელთა შეტევები გაგრძელდა, მაგრამ ტანმაღალი გაგრელი მცველები ადვილად უმკლავდებოდნენ მათ შეტევებს.

ტაიმი ასე მთავრდებოდა და 45-ე წუთზე შესანიშნავად გაისარჯა გიორგი გაბედავა: ბურთიანად ცენტრიდან დაიძრა, რამდენიმე მცველი ჩამოიცილა და ტყვიასავით გაუშვა ბურთი კარისკენ — როინ კვასხვაძის რეაქცია უნაკლო გახლდათ.

მეორე ნახევარში მასპინძელთა დამრიგებელმა თემურ მახარაძემ შეცვლებს მიმართა — თამაშში ჩართო უბერებელი ზურაბ იონანიძე და ოდნავ მოგვიანებით ნიკა კვასხვაძე შეიყვანა და შედეგმაც არ დააყოვნა.

მე-60 წუთზე დაახლოებით 30-35 მეტრიდან უჩა ლობჟანიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, ირაკლი ძარიამ თავი წაჰკრა ბურთს, მცველები კი ცდილობდნენ ბურთის გამოტანას, მაგრამ საჯარიმოში ჩასაფრებულმა როინ ონიანმა აუღებელი დაურტყა თევდორაძეს — 1:0.

თამაში გამოცოცხლდა, ზესტაფონელები კარგად იყენებდნენ ფლანგებს — მარჯვნივ ნიკა კვასხვაძეს და მარცხნივ ნიკა გელაშვილს დაძაბულობაში ჰყავდათ სტუმართა მცველები...

67-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ნიკა კვასხვაძემ კარგად ჩააწოდა ბურთი საჯარიმოში, სადაც გიორგი ხიდეშელმა ერთი მოძრაობით მოატყუა მცველები და მარცხენა ფეხით დაარტყა, მაგრამ ამაოდ.

მე-80 წუთზე ნიკა კვასხვაძემ უკვე მარცხენა ფრთაზე იაქტიურა, ქუსლით უნაკლო პასი გაუკეთა ონიანს, ვინც საჯარიმოში შეიჭრა და გელაშვილმაც უმალ გამოიყენა შანსი — 2:0.

მასპინძელთა უპირატესობა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა და 87-ე წუთზე ფეროელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს — ხიდეშელმა კარგად უპასა ძარიას, მან საჯარიმოში კვასხვაძე მოძებნა, რომელმაც წინ გამოსულ თევდორაძეს ცარიელ კარში დაახვედრა ბურთი — 3:0.

### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ჩვენ ბავშვებით გვყავს გუნდი დაკომპლექტებული, თუმცა ეს გასამართლებლად არ გამოგვადგება. ასეთი მატჩისთვის ფიზიკურად არ არიან მომზადებულები. პირველ ტაიმში მათ შეძლეს მასპინძლებთან ჭიდილი, მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლებმა აშკარად დაგვჯაბნეს და შედეგიც სახეზეა.

*თემურ მახარაძე:* მჭიდრო კალენდრიდან გამომდინარე უჭირს ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს თამაში. მეტოქემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეორე ტაიმში გამოცდილებით გავიმარჯვეთ. კარგია, რომ ბიჭებმა სტრესს გაუძლეს.

# ჭანტურიამ ზესტაფონი დატოვა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე გრიგოლ ჭანტურია „ზესტაფონს" დაშორდა.

ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს იმერული კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება „ბორჯომთან" (1:1) წინა ტურის მატჩის შემდეგ მოუვიდა. როგორც შევიტყვეთ, კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას და ჭანტურიას შელაპარაკება მოსვლიათ და, ფეხბურთელმაც „ზესტაფონში" გამჩერებელი აღარ ვარო...



**ნუკრი ლოლაძე**

# ეროვნული ცვლილებები

**რა** შეხსენება უნდა, რომ 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ბუქარესტში რუმინეთს ამხანაგურად გაეჯიბრება.

სწორედ ამის გამო ეროვნული ჩემპიონატის და თასის მატჩების თარიღები შეიცვალა — 8 ნოემბერს ჩასატარებელი მატჩები 7 ნოემბერს ჩატარდება, 9 ნოემბრის მატჩი კი 8-ში გაიმართება...

ასევე დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალი 12 ნოემბრის ნაცვლად 11 ნოემბერს ჩატარდება.

და კიდევ მე-11 ტურის მატჩები ყველა 16 ნოემბერს უნდა გამართულიყო, ახლა კი ნაწილი 15-ში ჩატარდება, ნაწილი 16 ნოემბერს.

**მე-10 ტური, 7 ნოემბერი, პარასკევი**

1. ლოკომოტივი — ოლიმპი
2. სიონი — ვიტ ჯორჯია
3. სპარტაკი — ზესტაფონი
4. მგლები — დინამო

**8 ნოემბერი, შაბათი**

5. გაგრა — მესხეთი

**მე-11 ტური, 15 ნოემბერი, შაბათი**

1. ზესტაფონი — ლოკომოტივი
2. დინამო — ბორჯომი
3. ვიტ ჯორჯია — მგლები

**16 ნოემბერი. კვირა**

4. ოლიმპი — სიონი
5. მესხეთი — სპარტაკი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

1 წრე. 9 ტური

# ვაკურ-ბოლნისური სტუმარ-მასპინძლობა

## სიონს ბევრიდან ერთი ეყო



გიორგი ლომაიას ალექსანდრე კოშკაძემ გაუტანა



მატჩს ექტორ რაულ კუპერიც დაესწრო

გაფრი კითილაშვილის ფოტოები

თბილისი. 2 ნოემბერი. 14 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

### ლოკომოტივი 0:1 სიონი

0:1 კოშკაძე (50)

**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, კაიშაური, ფარულავა (დ. ჩაგელიშვილი 67), კახელიშვილი, ზ. ჩხეტიანი (კ. მახარაძე 59), სამხარაძე, ცქიტიშვილი, დარასელია, ჩირიკაშვილი (ი. გილაური 55), ალექსიძე

*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ბებუა, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე

**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**სიონი:** ბობლიაშვილი, დ. სვანიძე, ქემოკლიძე, დიდავა, ხუბუა, შავგულიძე, ზ. ჭელიძე, სანიკიძე, ა. ალავიძე (შ. ჯიქია 87), კოშკაძე (ლ. ბაჯელიძე 77), ი. შენგელია (რ. გოცირიძე 65)

*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ჩივაძე, დავითაშვილი, ს. იაშვილი

**მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე

**გაფრთხილება:** დარასელია (13), ჩხეტიანი (40), სვანიძე (41), მახარაძე (66), ალავიძე (70), ქემოკლიძე (85)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ნ. სილაგავა

**ილია ნანობაშვილი**

**შვიდი** მოგების წილ „ლოკომოტივს“ ორი წაგება აქვს და ორივე შინ; ბოლნისის „სიონს“ კი სამი გამარჯვება დაუგროვდა და სამივე სტუმრად.

თუ ვინმე იტყვის, ბოლნისელებმა სენსაციურად სძლიეს ვაკელებსო, მართალიც იქნება, რაკიღა „ლოკომოტივი“ ლიდერია, მაგრამ, აბა, თამაში გენახათ — ქვემოქართლელებმა ალალი სამი ქულა აიღეს და ვინძლო, უფრო დიდი ანგარიშით მოგებასაც იმსახურებდნენ.

ერთმანეთში ვხუმრობდით კიდეც, მინდია ბობლიაშვილი ტყუილად ჩამოჰყვა ბოლნისელებსო. დიახ, 85-ე წუთამდე გიორგი კიკნაძის ბიჭებს სერიოზულად ერთხელაც არ შეუწუხებიათ „სიონის“ მეკარე.

„ლოკომოტივს“ ძალიან დააკლდა ნიკა გუშარაშვილი, ვისაც ტრავმა აქვს და ვის გარეშეც გუნდის დაცვა ფეხმოტეხილი სკამივით ლაყლაყებს. არ იყო მარცხენა მცველი ლევან სარალიძეც და მისი ადგილი გიორგი კახელიშვილმა დაიკავა. „კახელოს“ ამ პოზიციის ფეხბურთელობისა არაფერი სცხია, მაგრამ სხვა რა ექნა კიკნაძეს...

„სიონმა“ ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით (ირაკლი შენგელია) ითამაშა, სკამზე კი ოთხი (!) თავდამსხმელი ეჯდა.

გიორგი ლომაიას ბევრჯერ დასჭირდა ამუშავება და პირველად ეს მე-7 წუთზე მოხდა, როცა არჩილ ალავიძის გარღვევის შემდეგ შენგელია მასთან პირისპირ გავიდა — ლომაიამ ხელეში გაშალა და „სიონი“ ოდენ კუთხურს დასჯერდა.

პირველ ტაიმში ბოლნისელებმა კიდევ ერთი შანსი გაუშვეს, თუმც მათ გაუშვეს ვითომ? ალექსანდრე კოშკაძემ ზაზა ჭელიძე პირისპირ გაიყვანა, ჭელიძემაც კარიდან გამოსული ლომაიას მოტყუება სცადა, მაგრამ გიორგიმ ხელით მოიგერია ბურთი. მეკარეა და ხელით თამაშს ვინ დაუშლიდა, მაგრამ აშკარად საჯარიმოს გარეთ იდგა და... მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ წაუყრუა.

არადა, ამ ეპიზოდში მინიმუმ ჯარიმა უნდა დანიშნულიყო, მაქსიმუმ კი — ჯარიმას ლომაიას წითელი ბარათიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

თუმც „სიონმა“ გასატანი მეორე ნახევრის დასაწყისში გაიტანა: შენგელიამ მარცხნიდან შეასრიალა ბურთი და კოშკაძემ ორ მცველს შორის იმარჯვა, ახლოდან შეაგდო — 0:1.

კიკნაძემ დავით ჩაგელიშვილის შეყვანით სცადა შეტევის გამწვავება, თუმც „სიონის“ სამარქაფოები უფრო ფხიანად შევიდნენ შეცვლაზე: რევაზ გოცირიძის მინდორზე ფეხის შედგმა და მწვავე პასი ერთი იყო, თუმც კოშკაძემ თითქმის ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა.

მერე იყო და, გოცირიძის პასით ჭელიძე შეიჭრა ლომაიასთან პირისპირ, მაგრამ სუსტად დაარტყა და მეკარემ იოლად აილო. საგოლე იყო ლევან სანიკიძის მახვილი კუთხიდან გასროლილიც, თუმც ლომაია მაგრად დადგა...

გოცირიძემ ბევრი იმუშავა, კიდევ ერთმა შეცვლაზე შესულმა ლევან ბაჯელიძემ კი ბურთი დაიჭირა და „ლოკომოტივს“ შტურმისმაგვარიც არაფერი გამოსვლია — მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ გათანაბრების შანსი, როცა ჩაგელიშვილის ახლოდან დარტყმული გელა ხუბუას მოხვდა და კუთხურზე გადავარდა.

აშკარად ვერ იყვნენ იშტაზე რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია, მათ გარეშე კი „ლოკომოტივი“ დაობლებული ჩანს.

გაიხარეს ბოლნისელებმა: ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე კი მეორე ტაიმში არც დამჯდარა სკამზე, „სიონის“ ფეხბურთელებს აგულიანებდა...

### პრესკონფერენცია

*ოთარ კორღალიძე:* „ლოკომოტივის“ თამაში მაქსიმალურად შევისწავლეთ. ზეპირად ვიცოდით, მეტოქის რომელი ფეხბურთელი რას წარმოადგენდა. მინიმუმ სამი ასპროცენტიანი მომენტი კიდევ გვქონდა, თუმც რეალიზაციაში მოვიკოჭლებთ. თავდამსხმელები მრავლად გვყავს გუნდში, მაგრამ ფორმაში ვერ არიან — ზოგი გვიან შემოგვიერთდა, ზოგიც ჯერ ვერ შეეწყო გუნდს.

*გიორგი კიკნაძე:* ჩვენი დღე არ იყო. „სიონმა“ უკეთესად ითამაშა. დაცვაში გვქონდა პრობლემები, რაც გუშარაშვილის ტრავმითა და სარალიძის ავადმყოფობით იყო გამოწვეული. წაგება საწყენია, თუმცა მიზანი არ შეგვიცვლია: ლიდერები ვართ და რამდენიმე გუნდთან ერთად, მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

რუსთავი. 2 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი. 400 მაყურებელი

### ოლიმპი 1:0 სპარტაკი

1:0 სეთურიძე (3)

**ოლიმპი:** მერლანი, თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა, დობროვოლსკი, გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი (გაბიდაური 46), ფეიქრიშვილი (დეკანოსიძე 70), ფიფია (მიკუჩაძე 63), მეგრელაძე

*სათადარიგონი:* სტურუა, კ. ალადაშვილი, ჩიკვილაძე, გ. ჩხეტიანი

**მწვრთნელი:** ვარლამ კილასონია

**სპარტაკი:** ქვილითაია, კუპრეიშვილი, თარხნიშვილი, ქორიძე, მამუკაშვილი, შალამბერიძე (მ. ღონღაძე 80), ჯანგიძე, თ. შონია, გ. ხიდეშელი (მაისურაძე 67), ბონდო გოცირიძე, სირბილაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, კობახიძე, დათუნაშვილი, თექთუმანიძე, გაბელაია

**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**გაფრთხილება:** კუპრეიშვილი (15), მაჭავარიანი (61)

**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. კოკაია, ზვ. ასკაროღლი

# რა იოლი ყოფილა...

**ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან**

**ყინული** დაიძრა, მაგრამ 12 საამის მადევარი ოსტაპ ბენდერის მსგავსად, „ოლიმპი“ სხდომას ნამდვილად ველარ უხელმძღვანელებს, უკვე იმდენი ქულა აქვს დაკარგული.

რუსთაველებს რვა ტურის დარჯაკში გამოვლა და მწვრთნელის გამოცვლა დასჭირდათ პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად. ბოლოს შეძლეს და შინ მოუგეს იმ ერთადერთ გუნდს, რომელსაც როგორლაც უსწრებდნენ ცხრილში და, ბედის ირონიით, მოუგეს პირველივე წუთებზე სულ იოლად გატანილი ერთადერთი გოლით. არადა, იდეაში ჩემპიონობის მსურველ რუსთაველებს ამ შემოდგომაზე ყოველი გოლის გატანა ნერვებისწყვეტის და უდიდესი ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ.

გუნდებს ხეირიანად გახურებაც ვერ მოესწროთ, რომ მარცხენა ფლანგიდან მასპინძელთა პირველივე იერიშს გოლი მოჰყვა. შოთა ბაბუნაშვილმა გამოზომილი პასით პრაქტიკულად ცარიელი კარის წინ ჩასაფრებული გიორგი სეთურიძე იპოვა და მასაც მოკლე ჩაწოდებულზე ფეხის დახვედრების მეტი აღარაფერი დარჩენოდა. თურმე რა იოლი ყოფილა გოლის გატანა...

ეს იყო და ეს. სხვა გოლი აღარც გვინახავს. რუსთაველები სეთურიძის გატანილის შემდეგ შესამჩნევად მოეშვნენ. ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ახლა მაინც ველარსად წაუვიდოდათ ამდენ ხანს ნალოდინები გამარჯვება და ამ მხრივ სანერვიულო მართლაც ბევრი არ ჰქონდათ.

ჩემპიონატის გამოკვეთილი აუტსაიდერი „სპარტაკი“ ვერ ახერხებდა მწვავე შეტევის გამართვას და ადრეული გოლის შემდეგ მთლად შემთხვევითი წარმატების იმედად თუ იქნებოდა. შემთხვევა კი არ მისცემია და მით უმეტეს, სპარტაკელებს არ შეუქმნიათ არც შემთხვევა და არც ხიფათი. მირზა მერლანის მყლერი გაფრთხილებები რუსთაველთა დაცვას ფხიზლად ამყოფებდა და მეკარემდე ბურთი იშვიათად მიდიოდა.

მასპინძლებმა კი კიდევ რამდენჯერმე შექმნეს ხიფათი, დარჩენილი 90 წუთი რამე ხომ უნდა ეკეთებინათ? დაახლოებით მეოცე წუთისთვის გოგი ფიფიას შეეძლო ანგარიშის გაორმაგება, როცა ძალზე ხელსაყრელ სიტუაციაში, კარის წინ სრულიად მარტო მდგომს მიუვიდა ბურთი, მაგრამ დარტყმას არაფრისმომცემი პასის გაკეთება არჩია და რეალური შანსი გაფლანგა. ტაიმის ბოლოს კი რუსთაველთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გიორგი ფეიქრიშვილი დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმც ააცილა.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო დუნე და „ვალმოსახდელი“ გამოვიდა. გამოსარჩევია სეთურიძის საშუალო მანძილიდან ახლო მაღალ კუთხეში ლამაზი დარტყმული, რომელიც „სპარტაკის“ მეკარე მაქსიმე ქვილითაიამ ლამაზადვე მოიგერია. გია მეგრელაძესაც ჰქონდა შანსი, როცა მეკარის წინ აღმოჩნდა და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა. სტუმართა კართან შეიქმნა არაერთი ნახევარმომენტიც, თუმც მთლიანობაში თამაშს ტემპი და სპორტული აზარტი აკლდა.

ცხინვალელებმა კი, რომ დაინახეს, მასპინძლები შეტევაში თავებს არ იხოცავდნენ, მეორე ტაიმის ბოლოს შესამჩნევად გააქტიურდნენ და ანგარიშის გათანაბრებაზე იწყეს მუშაობა, აქა-იქ მსაჯვასილ ელისაბედაშვილსაც შეუძახეს, ზანტად მოსარჯე რუსთაველები დააჩქარეო, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გოლის გატანის რეალური შანსი მათ არ მისცემიათ. შეცვლაზე შესული ნიკა მაისურაძის საშუალო დისტანციიდან დარტყმულს მცველი გადაეღობა. ეგ იყო და ეგ.

„ოლიმპმა“ კი პირველი გამარჯვებისთვის აქა იქ ომახიანი, მაგრამ მაინც კანტი-კუნტი ტაში მიიღო. კანტი-კუნტი იმიტომ, რომ ხალხიც არ ყოფილა ბევრი. ისედაც გამოხშირული ტრიბუნები ვერმოგებული ტურების შემდეგ უფრო მეტად გაღარიბდა მაყურებლისგან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 13:4 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 13 |
| მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10:8 | 12 |
| სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:4 | 12 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 8 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 9 |
| გაგრა | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| ოლიმპი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:7 | 8 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:17 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთელების ცოლების ქართული ვარიანტი



„ამერის" მეკარე ამირან გვენცაძის და




პაატა დათუნაიშვილის მეუღლე და ალექსანდრე ჩივაძის ქალიშვილი



ვიტალი დარასელიას შვილი...

**თერთმეტი** ქართველი ფეხბურთელის თერთმეტმა ცოლმა ძველ თბილისში, კლუბ „აკურასთან", პოდიუმზე ჩაიარა. ეს იდეა სამოდელო სააგენტო „ლიკა ყაზბეგის" მფლობელს დაებადა და თავის ჩანაფიქრს ფრთებიც შეასხა. ამით აღფრთოვანებულმა ფეხბურთელთა ცოლებმა მეტად გაიხარეს და ძველი ოცნებაც აისრულეს. პოდიუმზე თავდაპირველად მათმა შვილებმა ჩაიარეს, მერე წითელი ხალიჩა დედებს დაეთმოთ, ხოლო ფეხბურთელი მამები მაყურებელთა როლში მოგვევლინენ. მაყურებლებში იყვნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-პრიზიორები, პროფესიონალი მოდელები და ქალაქის ბომონდი.

ფეხბურთელთა ცოლებმა თავდაპირველად მაღაზია „მოდა + სპორტის" სამოსით ჩაიარეს, თან თავს ოპტიკური მაღაზიების ქსელ „საფილოს" სათვალით იწონებდნენ, მერე მაღაზია „მოდარტის" საშემოდგომო სამოსით ჩაიკოპწიავეს, ბოლოს კი ყველანი ფოიერვერკის თანხლებით შვილებთან ერთად წარმოგვიდგნენ.

იქვე ფეხბურთელთა ცოლები კოსმეტიკური ფირმა „ფაბერლიკის" წარმომადგენლებმა თავიანთი ნაწარმით დაასაჩუქრეს. ეს ლამაზი საღამო კი ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის თანხლებით სპორტულ ჟურნალისტებს გურანდა გურასაშვილსა და დავით ერაძეს მიჰყავდათ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

*ავტორის ფოტოები*



დავით წოწორიას ცოლ-შვილი



...და მეუღლე



გურანდა გურასაშვილი და დავით ერაძე






თათა ჭაშიაშვილი და ლიკა ყაზბეგი



ფეხბურთელები: გიორგი ლორია, დავით დიღმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი და პაატა დათუნაიშვილი

## საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. III ტური

**სსსსუ 84:63 დინამო**
**16:21 22:7 22:12 24:23**

**სსსსუ:** გულიხაბედაშვილი (10), თვაური (2), რ. ბერიშვილი (25), მარხვაშვილი, გახიტაშვილი, ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (3), წიფწივაძე (14), ათანელიშვილი (15), გვიმრაძე (4), ჩაჩიბაია (9), ბოქოლიშვილი (2)

**დინამო:** ბაქრაძე (5), ნანიტაშვილი, სორდია (6), ლაფანაშვილი (2), სიგუა (19), დოლიძე, კორკოტაძე (8), ქარდია (7), ჯიქია (2), კობიძე (2), ხიზანიშვილი (12)

*მსაჯები:* ხათუნა გაბედავა, დავით არეშიძე

*კომისარი:* როლანდ გელოვანი

**თბილავიამშენი 91:85 თსუ**
**29:23 21:21 24:23 17:18**

**თბილავიამშენი:** ი. ბერიშვილი (17), ნიკოლაძე (17), კვიმსაძე (2), მინაშვილი (30), მათიაშვილი (10), ნაცვლიშვილი (7), პირველაშვილი (6), ს. შერმადინი, ბოისა (2)

**თსუ:** გაფრინდაშვილი (11), გ. ბარბაქაძე (10), კობრეიძე, შანიძე (16), გ. მარკოიშვილი (9), ყველაშვილი (8), ხეცურიანი (16), აბალკაცი (2), დ. ბარბაქაძე (13)

*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე

*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე



სსსსუ-ელი ტატო ჩაჩიბაიას და დინამოელი ვახტანგ ქარდაიას ბრძოლა

ბუბა ფილფილაშვილის ფოტო

# ავიატორებმა სტუდენტებს ნიშანი დაუწერეს

**საკალათბურთო** სუპერლიგის მესამე ტურის ორი შეხვედრა გაიმართა გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში. თსუ — „თბილავიამშენს" დაუპირისპირდა, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს გუნდი კი „დინამოს".

ამ ტურის ორი შეხვედრა პარასკევს ჩატარდა რუსთავში. „ენერჯი-ინვესტმა" 91:65 დაამარცხა შსს, ბათუმში კი გადაჭედილ დარბაზში პირველი საშინაო მატჩის ჩამტარებელმა „ბათუმმა" მოუგო „მაკაბის" 87:67.

როგორც თვითმხილველებმა გვითხრეს, ბათუმში კალათბურთს მონატრებულმა მაყურებელმა ისევე გაავსო დარბაზი, როგორც ამას ადრე, „ბასკოს" წლებში აკეთებდა, მასპინძელი გუნდის კალათბურთელებმა კი ადვილად დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

ახლა თბილისურ შეხვედრებზე... „სასოფლომ" კიდევ ერთი კარგი შეხვედრა ჩატარა და საკმაოდ დიდი სხვაობით დაამარცხა „დინამო". ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი მიხეილ ბერიშვილმა შეასრულა, რომელმაც 25 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო შედეგი აჩვენა. მას თანაგუნდელებიც კარგად აჰყვნენ, კიდე სამმა მოთამაშემ მოახერხა ათი და მეტი ქულის დაგროვება. თავისი გუნდის შეტევებს კი ისევ კარგად უძღვებოდა ბექა წიფწივაძე — 14 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი.

„დინამოც" ბევრს ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ზაზა ცაგარეიშვილს გუნდიდან მხოლოდ ორმა მოთამაშემ შეძლო ათზე მეტი ქულის დაგროვება — ნოდარ სიგუამ 19 და დავით ხიზანიშვილმა 12.

დღის მეორე შეხვედრა და ტურის ცენტრალური მატჩი „თბილავიამშენსა" და თსუ-ს შორის შედგა, რომელიც ვახტანგ მინაშვილის ბენეფისად გადაიქცა, ამ მოთამაშემ 30 ქულით ტურის საუკეთესო მოთამაშეობაც კი დაიმსახურა ჩვენი აზრით. მას ამისთვის სულ 33 წუთი დასჭირდა.

მთლიანობაში თამაში სულ „ავიატორების" კარნახით მიდიოდა, მხოლოდ რამდენიმე მომენტში მოახერხეს სტუდენტებმა წინ გასვლა. თავიდან ეს იყო მატჩის პირველი წუთები, როდესაც ქულა ქულაში მიდიოდა თამაში და შემდეგ კიდევ ორჯერ, ერთხელ მეორე მეოთხედში, როდესაც ანგარიშში 34:33 დაწინაურდნენ და ერთხელაც მესამე მეოთხედში ზუსტი საჯარიმოს მერე — 65:63. ამის მერე ერთი წუთი ისევ ქულების გაცვლა წავიდა, რის შემდეგაც „ავიამშენის" მოთამაშეები ჩაერთვნენ და ეჭვქვეშ აღარ დაუყენებიათ თავიანთი უპირატესობა.

ლევან მოსეშვილს გუნდმა მოხსნებში ძალიან დაჩაგრა მეტოქე — 45:29. ამან დიდწილად განაპირობა კიდეც „ავიამშენის" მოგება. მოხსნების საქმეში საუკეთესო იყო ანატოლი ბოისა — 18 მოხსნა, რომელსაც საერთოდ არ უაქტიურია შეტევაში. სამაგიეროდ, დაცვაში გაიბრწყინა. ამ დროს თსუ-დან საუკეთესო მომხსნელს, დავით ბარბაქაძეს, მხოლოდ 4 მოხსნა ჰქონდა.

**გიორგი არაბული**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილავიამშენი | 3 | 2 | 1 | 279:225 | 5 |
| სსსსუ | 3 | 2 | 1 | 261:234 | 5 |
| ენერჯი-ინვესტი | 2 | 2 | 0 | 174:139 | 4 |
| თსუ | 3 | 1 | 2 | 286:266 | 4 |
| ნტდ-თბილისი | 2 | 2 | 0 | 144:129 | 4 |
| შსს | 3 | 1 | 2 | 185:201 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 214:273 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 150:183 | 3 |
| მაკაბი | 3 | 0 | 3 | 186:226 | 3 |

# მეგობრებთან ერთად
## ჩვენები ამერიკაში და უკრაინაში იგებენ და იგებენ

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოუქსმა" მიჯრით მეორე მატჩი მოიგო და ნბა-ს კიდევ ერთი ბობოლა, ელტონ ბრენდით გაძლიერებული „ფილადელფია" დაამარცხა — 95:88. თამაშიდან თამაშამდე აშკარა ხდება, რომ „ატლანტა" ერთ-ერთი საუკეთესოა აღმოსავლეთში და მის საპლეიოფო გზას ძნელად თუ ვინმე გადაეღობება.

„ფილადელფიასთან" შეხვედრაში „ქორები" 23 ქულასაც კი აგებდნენ, მაგრამ სასწაულები აკეთეს და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. ქართველი ცენტრი ძალიან სასარგებლო იყო ფარზე თამაშისას. ფაჩულიამ მოედანზე 21 წუთი გაატარა და 8-ჯერ მოხსნა ბურთი. ორი ორქულიანი გაარტყა მიზანში და ერთიც — საჯარიმო. საბოლოოდ ჩვენებულის ანგარიშზე 5 ქულა დაირიცხა.

ამჟამად ატლანტელებს ორიდან ორი გამარჯვება აქვთ. მორიგ შეხვედრაში კი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ სტუმრად დასავლეთ კონფერენციის „ნიუ ორლეანთან".

უკრაინაში კი მანუჩარ მარკოიშვილის „კიევმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო უკრაინულ სუპერლიგაში და სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ სეფე გუნდია.

„კიევის" მორიგი მსხვერპლი „პულსარი" გახდა. ეს მატჩი კი მიმდინარე სეზონში საუკეთესო გამოდგა მარკოიშვილისთვის. ქართველ უკანახაზელს 28 წუთი მოუწია მოედანზე ყოფნა. ჩვენებურმაც 18 ქულა მოაგროვა. მანუჩარმა ექვსი ორქულიანიდან ექვსივე ჩააგდო. ოთხი სამქულიანიდან ორი გამოიყენა, სამჯერ მოხსნა, ორჯერ ჩაჭრა და ერთიც პასი მიითვალა. საბოლოოდ „კიევმა" 73:53 მოიგო.

მომდევნო მატჩს უკრაინის ჩემპიონატის ლიდერები 8 ნოემბერს „სუმიხიმპრომთან" გამართავენ, რომელმაც სხვათა შორის ახლახან, ფიბა-ევროპის თასზე რუსთავის „ენერჯი-ინვესტს" ორმატჩიანი დაპირისპირება მოუგო.

**ზურაბ მიგრიაული**

# ლელოს არა დაანებეს

**გასულ** უქმეებზე საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის პირველი ლიგის ორი გადადებული შეხვედრა უნდა გამართულიყო.

აქედან ერთი ჩატარდა — „ლოკომოტივი 2"-„ხულიგანა". „ხულიგანამ" 36:29 მოიგო.

მეორე მატჩი ჩაიშალა. „ლელო 2" ქუთაისში „აია 2"-თან არ გამოცხადდა და ტექნიკური წაგება 30:0 ჩაეთვალა.

პირველი ლიგიდან უმაღლესში „ბათუმი" ჯერ კიდევ წინა ტურში ალზევდა, ხოლო საქართველოს ჩემპიონატის ელიტაში ადგილის დასაკავებლად პირველლიგელი „რუსთავი" და უმაღლესლიგელი „არმაზი" ორმატჩა პლეი ოფში, შინ და გარეთ პრინციპით იბრძოლებენ.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 13 | 0 | 1 | 494:135 | 26 |
| რუსთავი | 13 | 0 | 1 | 471:162 | 26 |
| ხულიგანა | 10 | 0 | 4 | 344:257 | 20 |
| აია 2 | 6 | 0 | 8 | 111:274 | 12 |
| ლელო 2 | 5 | 1 | 8 | 347:323 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 1 | 10 | 169:414 | 7 |
| TBC-თსუ 2 | 3 | 0 | 11 | 200:431 | 6 |
| დევები | 2 | 0 | 12 | 215:421 | 4 |

# ფულიც და თასიც შავებმა აიღეს

**ახ. ზელანდია 19:14 ავსტრალია**

**შაბათს,** ჰონკონგში ახალმა ზელანდიამ ავსტრალია დაამარცხა და „ბლედისლოუს თასი" ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა. „ბლედისლოუს" თასი „ვოლაბებსა" და „კივებს" შორის თამაშდება და ვეებერთელა ვერცხლის სინი წლის სერიაში გამარჯვებულს ერგება. სერიაში ფრე თუ დაფიქსირდა, მაშინ თასი მოქმედ მფლობელს რჩება. „ბლედისლოუ" სულ 49-ჯერ გათამაშდა. აქედან 37-ჯერ მოიგო ახალმა ზელანდიამ და მხოლოდ 12-ჯერ — ავსტრალიამ.

„ბლედისლოუს თასისთვის" ჯახი რაგბის ისტორიაში პირველად გასცდა სამხრეთ ნახევარსფეროს საზღვრებს და აზიაში გადაინაცვლა — კომერციული ამბების გამო. აზიელებმა ფული ბითუმად გადაიხადეს, სამაგიეროდ კი ზერაგბი იხილეს.

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლოს „სამ ერზე" ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ ერთმანეთში ითამაშეს. მაშინდელი შემადგენლობებიდან გუნდებში ცვლილებები განხორციელდა.

შინაური ჩემპიონატის უქონლობის გამო ოზებმა ოთხი შეკრება გაიარეს. „კივები" კი უთამაშებლობას არ უჩივოდნენ და ნაკრები მხოლოდ წინასამატჩოდ შეკრიბეს. ავსტრალიელებს ტრავმის გამო გამოაკლდათ ლოთე ტუკირი, ვაიკლიფ პალუ, ჯეიმს ჰორვილი, როკი ელსომი. ახალზელანდიელებმა კი მილს მულიაინა მოისაკლისეს.

„კივებში" ერთი საყურადღებო ცვლილება მოხდა. გამთამაშებელი დენ კარტერი სამთვიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს და „ვოლაბების" წინააღმდეგ 12 ნომრად ირაგბა. 10 ნომერზე კი სტივენ დონალდი გაისარჯა და დამაკმაყოფილებლად გაართვა თავი.

მატჩი ავსტრალიელთა უპირატესობით დაიწყო. ერთი ხანობა ოზები 14:6 იგებდნენ. მეორე ნახევარში „კივებმა" ბურთზე კონტროლი დააწესეს და ჩვეული რაგბობით დასცეს მეტოქე. თამაშში რამდენჯერმე იყო ბრწყინვალე ეპიზოდი. ჯერ მარტო ოზი მეტ ჟიტუს სოლორეიდი და ზედ დართული სალელოვე გადაცემა რად ღირდა. ანდა, სივივატუს მცირე საოცრება, როცა „კივთა" მე-11 ნომერმა მეტოქის დაცვა გააპო და სალელოვედ რიჩი მაკქოუ მონახა.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ სტივენ სივივატუ დაასახელეს. საუკეთესო მომჩნტის ავტორად კი მეტ ჟიტუ მონათლა.

**ზურაბ მიგრიაული**



ახალზელანდიელთა კაპიტანმა ადამ ტომპსონმა ავსტრალიელები დააწიოკა

# ბოლო მოსახვევის ჰემილტონი

ბოლო მოსახვევში რომ შედიოდა, ლუის ჰემილტონი მხოლოდ მეექვსე იყო. ამ დროს ფელიპე მასას უკვე გადაკვეთილი ჰქონდა ფინიშის ხაზი და ხარობდა. მასთან ერთად ზეიმობდა „ფერარის“ საჯინიბო და მთელი ბრაზილია — ის, რაც საათნახევრის წინ მიუწვდომელი ჩანდა, თითქოს მიღწეული იყო — ფელიპემ ამოუქაჩა შეიდქულიანი ჩამორჩენა ლუისს და უკვე საჩემპიონოდაც აღმართა ხელი, მაგრამ...

ბოლო მოსახვევში ჰემილტონმა და მის წინ მავალმა სებასტიან ფეტელმა წყვილად გაასწრეს ფაქტობრივად გაჩერებულ ტიმო გლოკს, ამით ინგლისელმა მისთვის საოცნებო მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა და მასა და ბრაზილია დაამუნჯა.

არადა, ფინიშამდე ორი წრით ადრე ჰემილტონი კომფორტულად ინარჩუნებდა ამ თავის მეხუთე ადგილს, მაგრამ ფეტელი წამოეწია და როდესაც მათ წინ მყოფმა, ერთი წრით ჩამორჩენილმა რობერტ კუბიცამ ერთბაშად ორი მეტოქის გასწრება მოინდომა და ტრასა ჩაკეტა, ფეტელმა ისარგებლა რა ჰემილტონის შეფერხებით, გადაასწრო ინგლისელს და ბრაზილია გააგიჟა.

ეს სიგიჟე რაღაც ორ წუთამდე გაგრძელდა და მერე სასოწარკვეთით შეიცვალა.

ასეთ ფინალს ვერანაირი დრამატურგი ვერ წარმოიდგენდა. ლუის ჰემილტონის თავზე დაკიდებული ბოლო ეტაპის წყევლა თითქოს შარშანდელ ბედს უმზადებდა „მაკლარენ-მერსედესის“ მრბოლს, მაგრამ ბოლო მოსახვევში ჯეელ ინგლისელს კეთილი ჯადოქარი ამოუდგა გვერდში და ერთი წლის წინანდელი ხვედრი აარიდა.

ფანტასტიკური ფინალი გამოვიდა. თითქოს არაფერი იყო, მაგრამ რბოლის დასაწყისში და ბოლო წრეებზე წვიმამ გვარიანად არია სურათი. ჯერ იყო და, სტარტამდე რამდენიმე წუთით ადრე წამოსულმა თქეშმა ყველა აიძულა, „მშრალი“ საბურავები „სველებით“ შეეცვალა. ცოტა ხანში გამოიდარა, ტრასა გაშრა და ამან დამატებითი პიტ-სტოპის, ანუ კვლავაც „მშრალ“ საბურავებზე გადასვლას აუცილებლობა გამოიწვია. კვალიფიკაციის მომგებმა ფელიპე მასამ სტარტიც მოიგო და პირველი პიტ-სტოპის შემდეგაც შეინარჩუნა პირველობა. სასტარტო რიგში ბრაზილიელის უკან იარნო ტრული, კიმი რაიკონენი, ჰემილტონი, ჰეიკი კოვალაინენი, ფერნანდო ალონსო და ფეტელი იდგნენ. ჰემიმ თითქოს შეინარჩუნა მეოთხე პოზიცია, მაგრამ როდესაც გამოიდარა, აღმოჩნდა, რომ ინგლისელი მეხუთე იყო — ტრული ჩამორჩა, სამაგიეროდ ლუისს ფეტელმა და ალონსომ გადაასწრეს.

და მაინც, ეს ის მეხუთე ადგილი იყო, რომელიც ჰემილტონისთვის ბრაზილიაში პროგრამა-მინიმუმს წარმოადგენდა და ეს მინიმუმი მსოფლიოს ჩემპიონობას ნიშნავდა. ამიტომაც ლუისი არანაირ რისკზე არ მიდიოდა — არც მეოთხე ადგილზე მყოფ რაიკონენთან მიახლოებას ცდილობდა და არც მეექვსეს იკარებდა ახლოს, მით უმეტეს, რომ მეექვსეზე კარგა ხანს მისი თანაგუნდელი კოვალაინენი იყო.

რბოლის სურათი არც მეორე პიტ-სტოპების შემდეგ შეცვლილა. მასა, ვის დაწევასაც ერთი ხანობა ფეტელი ცდილობდა, კომფორტულად ლიდერობდა, მის უკან ალონსო და რაიკონენი იყვნენ, ხოლო ჰემილტონმა ფეტელის ბოქსში შესვლით ისარგებლა და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

რბოლისა და სეზონის დასრულებამდე ექვსიოდე წრეღა რჩებოდა და ისევ გაწვიმდა. მრბოლები ისევ ბოქსებისკენ გავარდნენ საბურავების შესაცვლელად და ერთადერთი, ტაიმი გლოკი დარჩა ტრასაზე, გავრისკავ და ამ წვიმაში „მშრალი“ საბურავებით მივალ ფინიშამდეო.

გლოკის ამ ნაბიჯმა კინაღამ საჩემპიონო ბრძოლის ბედი გადაწყვიტა, რადგანაც ბოქსიდან გამოსული ჰემილტონი უკვე მეხუთე იყო და თანაც, ზურგს უკან ფეტელის სუნთქვას გრძნობდა.

როდესაც კუბიცას გამო შეფერხებულ ჰემილტონს ფეტელმა გაასწრო, გლოკი ამათზე მთელი ცხრა წამით იყო წინ და ფინიშამდე კი, სადღაც შვიდ-რვა კილომეტრიღა რჩებოდა. ბრაზილია უკვე ხარობდა, „ფერარის“ საჯინიბოში ლამის შამპანურებს ხსნიდნენ და ამ დროს „მაკლარენის“ ბანაკში ისევ შარშანდელი კოშმარის აჩრდილი დაბობღებდა.

მაგრამ გლოკი, თავისი „მშრალი“ საბურავებით, სველ „ინტერლაგოსზე“ უკვე ვეღარ მოძრაობდა. თანაც წრეზე ჩამორჩენილები იმდენნი იყვნენ, კაცმა არ იცოდა, ვინ ვის უსწრებდა და ამ დროს, ბოლო მოსახვევში, ფეტელმა და ჰემილტონმა წყვილად აუარეს გვერდი გლოკს...

საპირველფორმულო მსოფლიოს ახალი, 30-ე და ყველაზე ახალგაზრდა, 23 წლის ჩემპიონი ჰყავს — ლუის ჰემილტონი, რომელმაც კარიერის მეორე სეზონში დაიდგა გვირგვინი — და ვერავინ იტყვის, რომ ეს შავკანიანი ბიჭი ტიტულის ღირსი არ არის.

შარშანდელი აღარ განმეორდა. ლუის ჰემილტონი ჩემპიონი გახდა.

ლუის ჰემილტონი ჩემპიონი ბოლო მოსახვევში გახდა, სულ პირველ მოსახვევში კი რბოლას დევიდ კულტჰარდი გამოეთიშა, ვისთვისაც ბრაზილიის დიდი პრიზი კარიერის უკანასკნელი რბოლა იყო.

ერთმა ბრიტანელმა პირველ მოსახვევში დაასრულა თავისი ხანგრძლივი კარიერა, მეორე ბრიტანელმა კი ბოლო მოსახვევში მოიგო კარიერის პირველი ტიტული.

**ბაჩა ლომაძე**








## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთვრამეტე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
**2 ნოემბერი. სან პაულო**
დისტანცია 71 წრე — 305,909 კმ

| | |
|---|---|
| 1(1). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“) | 1სთ 34წთ 11,435წმ |
| | საშუალო სიჩქარე 194,865 კმ.სთ |
| 2(6). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“) | +13,2წმ |
| 3(3). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“) | +16,2 |
| 4(7). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“) | +38,0 |
| 5(4). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | +38,9 |
| 6(10). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“) | +44,3 |
| 7(5). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | +55,0 |
| 8(2). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“) | +1.08,4 |
| 9(12). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“) | +1.19,6 |
| 10(8). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“) | +1წრე |
| 11(13). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | +1წრე |
| 12(18). ნიკო როსბერი (გერმანია, „უილიამს ტოიოტა“) | +1წრე |
| 13(17). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა“) | +1წრე |
| 14(9). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“) | +1წრე |
| 15(15). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა“) | +1წრე |
| 16(20). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“) | +2წრე |
| 17(16). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“) | +2წრე |
| 18(19). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“) | +2წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 19(11). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო“) | გაიარა 0 წრე |
| 20(14). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“) | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *მასა* | 1წთ 12,368 წმ (საშ. სიჩქარე 214,354 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *მასა* | 1 წთ 13,736 წმ (საშ. სიჩქარე 210,377 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | 10 | 10 | 4 | 8 | 6 | 2 | 6 | — | 10 | 4 | 98 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | — | 6 | — | 10 | 10 | 3 | — | 2 | 8 | 10 | 97 |
| 3 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | 5 | 3 | 6 | — | — | — | — | 6 | 6 | 6 | 75 |
| 4 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | — | 2 | 1 | 6 | 3 | 6 | — | 8 | 3 | — | 75 |
| 5 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | 3 | — | 5 | — | 5 | 5 | 10 | 10 | 5 | 8 | 61 |
| 6 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | 8 | 5 | — | — | 8 | 4 | 3 | — | 4 | — | 60 |
| 7 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | — | 8 | — | — | — | 2 | 53 |
| 8 ფეტელი | — | — | — | — | — | 4 | 1 | — | — | 1 | — | 3 | 4 | 10 | 4 | 3 | — | 5 | 35 |
| 9 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | 2 | — | 2 | 4 | — | — | — | 4 | — | 1 | 31 |
| 10 გლოკი | — | — | — | — | — | — | 5 | — | — | — | 8 | 2 | — | — | 5 | — | 2 | 3 | 25 |
| *ვებერი — 21, პიკე — 19, როსბერგი — 17, ბარიკელო — 11, ნაკაჯიმა — 9, კულტჰარდი — 8, ბურდე — 4, ბატონი — 3 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | 5 | 9 | 6 | 10 | 10 | 3 | — | 8 | 14 | 16 | 172 |
| 2 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | 14 | 14 | 14 | 13 | 6 | 10 | 6 | — | 10 | 6 | 151 |
| 3 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 11 | 10 | 3 | 8 | 7 | — | 135 |
| 4 რენო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 3 | 3 | 8 | 8 | — | 5 | 5 | 10 | 15 | 6 | 8 | 80 |
| 5 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | 2 | — | 10 | 6 | — | — | 5 | 4 | 2 | 4 | 56 |
| *ტორო როსო — 39, რედ ბული — 29, უილიამსი — 26, ჰონდა — 14 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# პარიზის პირველი შანსაის ბოლოა ცონგამ ბერსი აიღო

**კაცები. მასტერსი**
**პარიზი. საფრანგეთი**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 2 270 000 ევრო**

### მეოთხედფინალი

ჯეიმს ბლეიკი (11, აშშ) — როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) უარი; ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) 6:1 უარი; დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ენდი მიურეი (4, ბრიტანეთი) 7:6 6:3; ჟო-ვილფრიდ ცონგა (13, საფრანგეთი) — ენდი როდიკი (7, აშშ) 5:7 6:4 7:6

### ნახევარფინალი

ნალბანდიანი — დავიდენკო 6:1 5:7 6:4; ცონგა — ბლეიკი 6:4 6:3

### ფინალი

ცონგა — ნალბანდიანი 6:3 4:6 6:4


ჟო-ვილფრიდ ცონგა

მასტერსის შეჯიბრის ფინალი ისედაც განსაკუთრებული მოვლენაა ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის და როდესაც ამ ფინალში სეზონის დამაგვირგვინებელი, რვაკაცა ტურნირის უკანასკნელი საგზურის კანდიდატები ხვდებიან ერთმანეთს, ეს თავად ჩოგბურთელებისთვისაც დამატებითი მოტივაციაა და ქომაგებს ხომ, უკეთეს ინტრიგას და სანახაობას, აბა, რას შესთავაზებ?

წლეულს პარიზში, „ბერსის“ სპორტულ კომპლექსში გამართულ სეზონის ბოლო მასტერსზე სწორედ ასე მოხდა. მოვლენები ისე განვითარდა და სხვადასხვა გარემოებები ისე დაემთხვა ერთმანეთს, რომ ფინალისტები, პარიზის შარშანდელი ტრიუმფატორი, არგენტინელი დავიდ ნალბადიანი და მასპინძლების ჯილა ჟო-ვილფრედ ცონგა არა მარტო ტიტულისთვის, არამედ შანხაიში, სეზონის დამაგვირგვინებელ ტურნირზე წამსვლელ ბოლო, მერვე საგზურისთვისაც ცილობდნენ.

ATP-ის საჩემპიონო რბოლაში ძალზე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა — სეზონის აღმოჩენა, არგენტინელი თინეიჯერი ხუან მარტინ დელ პოტრო მესამე წრეში დამარცხდა ნალბანდიანთან, მაგრამ ამ უკანასკნელისა და ცონგას ფინალში გასვლის შემდეგ ისე მოხდა, რომ დელ პოტროს საჩემპიონო რბოლის მერვე ადგილს ველარავინ შეეცილა. ფინალის წინ ნალბანდიანიც ჩამორჩებოდა დელ პოტროს და ცონგაც და ამათ შორის გამარჯვებული მეშვიდე ადგილზე კი ავიდოდა, მაგრამ დელ პოტროს სასურველი მერვე ადგილი მაინც დაბევებული გამოუვიდა. არადა, ნახევარფირალში ცონგას ამერიკელ ჯეიმს ბლეიკთან რომ წაეგო, ხუან მარტინი ასე მშვიდად ველარ იგრძნობდა თავს, რადგანაც ბლეიკი ფინალში გასვლითაც გადაასწრებდა და, თუ მერე ამერიკელი ნალბანდიანთან წააგებდა, დელ პოტრო მეცხრეზე ჩაინაცვლებდა.

არ მოხდა ასე — როჯერ ფედერერის გამიზეზებული წელის ტრავმის გამო ნახევარფინალში უბრძოლველად გასული ბლეიკი ცონგამ იოლად დაჯაბნა. არადა, მანამდე ჟო-ვილფრედმა ორი ეპიკური ორთაბრძოლა ჩაატარა და მესამე წრეში ნოვაკ ჯოკოვიჩთან უდაბაბულეს ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, მეოთხედფინალში ენდი როდიკიც უაღრესად დრამატული მატჩის მესამე სეტის ტაიბრეიკზე დაამარცხა. ამ ტაიბრეიკზე როდიკმა სამი მატჩ-პოინტი გაუნეიტრალა მეტოქეს, მაგრამ მეოთხეს ველარაფერი მოუხერხა და გადაჭედილი „ბერსის“ გასახარად, წინ ფრანგი წავიდა.

მეორე მხრიდან კი ფინალისკენ ნალბანდიანი დაიძრა, ვისაც ბოლო წლებში სეზონის ბოლოს წარმატებული თამაში დასჩემდა. თანაც დავიდმა იცოდა, რომ თუ პარიზში შარშანდელს ვერ გაიმეორებდა, შანხაის მატარებელი მის გარეშე წავიდოდა და არგენტინელმა მართლაც ერთი ამოსუნთქვით უწია ფინალს — დელ პოტრო ხომ იოლად დაჯაბნა, შემდეგ ორ სეტში მოუგო სეზონის ბოლოს ასევე დიდებულად მოთამაშე ბრიტანელ ენდი მიურეის და ამ უკანასკნელს გამარჯვებათა 14-მატჩიანი სერია შეუწყვიტა, ნახევარფინალში კი არგენტინელმა ერთი სეტი კი დაუთმო რუს ნიკოლაი დავიდენკოს, მაგრამ ეს ერთი სეტი ამყოფინა და მთლიანობაში, უპრობლემოდ იმარჯვა.

ისე, დავიდენკო ნახევარფინალში რომ გავიდა, დიდწილად რაფაელ ნადალის ტრავმის დამსახურებაა — მსოფლიოს პირველი ჩოგანი მტკივანი მუხლის გამო კორტზე ვერ მოძრაობდა და როდესაც პირველი სეტი 1:6 წააგო, საერთოდ შეწყვიტა თამაში.

აი, ასეთი იყო დავიდ ნალბანდიანისა და ჟო-ვილფრედი ცონგას საფინალო გზა. თუ ვინ მოიგო გადამწყვეტი შეხვედრა და ვინ მოიპოვა შანხაის უკანასკნელი საგზური, აქვე, ანგარიშებში, უკვე ნახავდით. ჩვენი კი კიდევ ერთხელ ჩამოგითვლით იმ ჩოგბურთელებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ განაღდებული შანხაიში თამაშის უფლება და რომელთაც გუშინ „ბერსის“ ტურნირის გამარჯვებულიც შეუერთდა: რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მიურეი, ნიკოლაი დავიდენკო, ენდი როდიკი, ხუან მარტინ დელ პოტრო.

**ქალები**
**კვებეკი. კანადა**
**ჰარდი. დარბაზი**
**საპრიზო 175 ათასი დოლარი**

### მეოთხედფინალი

ნადია პეტროვა (1, რუსეთი) — მელინდა ჩინკი (უნგრეთი) 6:1 6:4; ალექსანდრა ვოზნიაკი (5, კანადა) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:2 6:2; ბეტანი მატეკი (6, აშშ) — მელანი ოუდინი (აშშ) 7:6 6:1; ანჯელა ჰეინსი (აშშ) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 2:6 7:6 6:3

### ნახევარფინალი

პეტროვა — ჰეინსი 6:1 6:3; მატეკი — ვოზნიაკი 7:6 6:3

### ფინალი

პეტროვა — მატეკი 4:6, 6:4, 6:1



31 ოქტომბერი

**ტორონტო 112:108 გ. სტეიტი**
**ძირითადი დრო 96:96**
ტორონტო: ბოში (31), პარკერი (23), ბარნანი (19), კალდერონი (16 ქულა, 13 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (26 ქულა, 11 მოხსნა), ჯექსონი (19), ბიედრინსი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ფილადელფია 116:87 ნიუ იორკი**
ფილადელფია: ბრენდი (24 ქულა, 14 მოხსნა), მილერი (20 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), გრინი (18)
ნიუ იორკი: კროუფორდი (14), ლი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი 103:77 საკრამენტო**
მაიამი: ვეიდი (20), ბისლი (17), ჰასლემი (14), მერიონი (13 ქულა, 10 მოხსნა)
საკრამენტო: სალმონსი (14), დუბი (14)

**ბოსტონი 96:80 ჩიკაგო**
ბოსტონი: გარნეტი (18), პირსი (14), ალენი (14), რონდო (14)
ჩიკაგო: როუზი (18)

**მემფისი 86:84 ორლანდო**
მემფისი: გაი (29), მაიო (17)
ორლანდო: ლუისი (23), თურქოღლუ (18), ჰოვარდი (14 ქულა, 14 მოხსნა)

**კლიპერსი 103:113 დენვერი**
კლიპერსი: ტორნტონი (30 ქულა, 11 მოხსნა), ტომასი (20), კამანი )15 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება)
დენვერი: აივერსონი (25), ნენე (24 ქულა, 11 მოხსნა), სმიტი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 100:99 სან ანტონიო**
პორტლენდი: როი (26), ოლდრიჯი (23)
სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (24 ქულა, 11 პასი), ფინლი (16)

1 ნოემბერი

**ატლანტა 95:88 ფილადელფია**
ატლანტა: ბიბი (19), ჯონსონი (35), უილიამსი (2), სმიტი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჰორფორდი (9); ფაჩულია (21 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა), ევანსი (5), მიურეი (4), ლოუ (2)
ფილადელფია: მილერი (11), იგუდალა (16), იანგი (22), ბრენდი (17 ქულა, 16 მოხსნა), დალემბერტი (12 ქულა, 11 მოხსნა); ევანსი (4), გრინი (4), უილიამსი (2)

**ინდიანა 95:79 ბოსტონი**
ინდიანა: გრეინჯერი (20), ფორდი (9), დანიელსი (13 ქულა, 10 მოხსნა)
ბოსტონი: გარნეტი (18 ქულა, 14 მოხსნა), პირსი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო 121:103 საკრამენტო**
ორლანდო: ჰოვარდი (29 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), ლუისი (26), თურქოღლუ (21), პიეტრუსი (20)
საკრამენტო: მარტინი (31)

**შარლოტი 100:87 მაიამი**
შარლოტი: ველესი (34), რიჩარდსონი (23), ოკაფორი (18 ქულა, 13 მოხსნა)
მაიამი: ბისლი (25), ვეიდი (19), ჰასლემი (16)


ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ „ფილადელფიას“ მოუგო

**ნიუ ჯერსი 97:105 გ. სტეიტი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (20), ბუნი (17 ქულა, 14 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ბიედრინსი (23 ქულა, 11 მოხსნა), ჯექსონი (23), მაგეტი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**დეტროიტი 117:109 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (24), ვოლესი (17 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ჰ ერმანი (16)
ვაშინგტონი: ჯემისონი (24), იანგი (23), ბატლერი (21)

**ნიუ ორლეანი 104:92 კლივლენდი**
ნიუ ორლეანი: ვესტი (25), პოლი (24 ქულა, 15 პასი)
კლივლენდი: ილგაუსკასი (18), ჯეიმსი (15 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა)

**მინესოტა 85:95 დალასი**
მინესოტა: მაკკანტსი (18), ჯეფერსონი (14 ქულა, 12 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (21), ტერი (19)

**ჰიუსტონი 89:77 ოკლაჰომა**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22), მინი (16 ქულა, 11 მოხსნა)
ოკლაჰომა: დურანტი (26)

**ჩიკაგო 96:86 მემფისი**
ჩიკაგო: როუზი (26), ჰაინრიხი (18)
მემფისი: გაი (20), უორიკი (18), მაიო (16)

**მილუოკი 87:91 ტორონტო**
მილუოკი: რედი (19), ვილანუევა (16)
ტორონტო: კალდერონი (25), ბოში (20 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), მუნი (15)

**დენვერი 97:104 ლეიკერსი**
დენვერი: კარტერი (20), მარტინი (18)
ლეიკერსი: ბრაიანტი (33), გასოლი (16 ქულა, 16 მოხსნა)

**იუტა 101:79 კლიპერსი**
იუტა: ბუზერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბრიუერი (16)
კლიპერსი: მობლი (20), ტომასი (16)

**ფინიქსი 107:96 პორტლენდი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (23 ქულა, 13 მოხსნა), ბარნსი (21), ნეში (20), ონილი (16)
პორტლენდი: ფერნანდესი (20), როი (20), ოლდრიჯი (16)



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

31 ოქტომბერი

**ანაჰაიმი 6:7 ვანკუვერი**
**2:1 3:4 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)**
1:0 ს. ნიდერმაიერი (9), 2:0 სელიანე (13), 2:1 ბერნიე (13), 2:2 კესლერი (28), 2:3 ბაროუზი (32), 2:4 ოლუნდი (35), 2:5 ბიექსა (36), 3:5 მონტადორი (36), 4:5 პრონგერი (36), 5:5 სელიანე (38), 5:6 ბერნიე (49), 6:6 პერი (60)

**ჩიკაგო 5:2 დალასი**
**2:1 1:1 2:0**
0:1 ერიქსონი (7), 1:1 ბარკერი (10), 2:1 კეინი (19), 2:2 ოტი (28), 3:2 სოპელი (34), 4:2 ლედი (54), 5:2 ბაფლინი (56)

1 ნოემბერი

**კაროლინა 1:3 ედმონტონი**
**1:0 0:1 0:2**
1:0 უიტნი (7), 1:1 პორკოფი (47), 1:2 მორო (59), 1:3 მორო (60)

**ბოსტონი 5:1 დალასი**
**1:1 1:0 3:0**
1:0 შტურმი (3), 1:1 ეივრი (8), 2:1 ბერჟერონი (22), 3:1 კესელი (45), 4:1 სტიუარტი (52), 5:1 შტურმი (55)

**ბუფალო 5:0 ვაშინგტონი**
**3:0 1:0 1:0**
1:0 ვანეკი (2), 2:0 როი (14), 3:0 პომინვილი (20), 4:0 ვანეკი (40), 5:0 პაიე (52)

**ტორონტო 5:2 რეინჯერსი**
**0:1 0:1 5:0**
0:1 კალაჰენი (20), 0:2 ბეტსი (36), 1:2 მიტჩელი (53), 2:2 ბლეიკი (55), 3:2 კუბინა (55), 4:2 მიტჩელი (57), 5:2 მური (58)

**ნიუ ჯერსი 6:1 ატლანტა**
**1:0 5:0 0:1**
1:0 ბერგფორსი (15), 2:0 ელიაში (23), 3:0 პარიზე (24), 4:0 ჯიონტა (30), 5:0 პანდოლფო (40), 6:0 პარიზე (40), 6:1 კოზლოვი (47)

**აილენდერსი 4:5 მონრეალი**
**2:1 2:0 0:4**
0:1 კოვალიოვი (3), 1:1 შტრაიტი (4), 2:1 სიმი (13), 3:1 გერინი (22), 4:1 ნილსენი (37), 4:2 პლეკანეცი (48), 4:3 პლეკანეცი (50), 4:4 ჰიგინსი (55), 4:5 კოვალიოვი (60)

**კოლუმბუსი 3:4 ჩიკაგო**
**1:1 0:1 2:1 0:0 (0:1 ბულიტებით)**
0:1 შარპი (14), 1:1 ამბერგერი (17), 1:2 სიბრუკი (39), 2:2 ტიუტინი (49), 2:3 ჰავლატი (49), 3:3 ჰუსელიუსი (53)

**ტამპა 3:2 ოტავა**
**0:0 1:2 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)**
0:1 ვერმეტი (29), 1:1 ლეკავალიე (35), 1:2 ჰიტლი (35), 2:2 კარლი (54)

**ნეშვილი 3:2 ფლორიდა**
**1:1 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)**
1:0 ვებერი (17), 1:1 ოლეში (18), 1:2 სკრასტინში (32), 2:2 ერატი (50)

**სენტ ლუისი 3:6 პიტსბურგი**
**2:1 0:3 1:2**
1:0 ჯეკმენი (10), 1:1 შატანი (18), 2:1 ოში (19), 2:2 გოლიგოსკი (27), 2:3 მალკინი (33), 2:4 კენედი (33), 3:4 ბერგლუნდი (46), 3:5 ტელბოტი (47), 3:6 სტაალი (60)

**ფინიქსი 2:3 მინესოტა**
**1:0 1:2 0:1**
1:0 იოკინენი (8), 1:1 ბულიო (22), 1:2 კოივუ (31), 2:2 იოკინენი (38), 2:3 ბელანჟე (51)

**ლოს ანჯელესი 2:3 კალგარი**
**0:1 1:1 1:1**
0:1 ნისტრომი (17), 0:2 ოკოინი (27), 1:2 მელერი (33), 2:2 მელერი (55), 2:3 ლენგკოუ (57)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 82 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 97 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:15 | 181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:10 | 221 | თუნი-ივერდონი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| | | იტალია. სერია B<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 48 | ასკოლი-რიმინი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 23:55 | 49 | ლივორნო-ბრეშა | 2.00 | 2.85 | 3.75 | 1.17 | 1.30 | 1.61 |
| | | იტალია. სერია C1/B<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 47 | ბენევენტო-მარჩანიზე | 1.70 | 3.00 | 5.00 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 537 | ჰამარბიუ-მალმიო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 382 | სტრასბური-ლანსი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 44 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 40 | კრილია-შინიკი | 1.35 | 5.00 | 6.50 | 1.06 | 1.11 | 2.82 |
| 20:00 | 42 | ლოკომოტივი-დინამო | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 20:15 | 488 | ბანიკი-სპარტა | 2.55 | 2.95 | 2.70 | 1.36 | 1.31 | 1.40 |
| | | დანია. სუპერლიგა<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.37 | 4.40 | 9.00 | 1.04 | 1.18 | 2.95 |
| | | ჰოკეი. შვედეთი<br>3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 683 | ფერიესტადი-სიოდერტელიე | 1.50 | 4.40 | 3.70 | 1.11 | 1.06 | 2.00 |
| 22:00 | 684 | აიკ-ფრიოლუნდა | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 22:00 | 685 | ტიმრე-ლინჩიოპინგი | 2.20 | 4.10 | 2.15 | 1.43 | 1.08 | 1.41 |
| 22:00 | 686 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 22:00 | 687 | როგლე-ლულეო | 1.80 | 4.10 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.66 |

## I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10040 | კრილია-შინიკი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10042 | ლოკომოტივი-დინამო | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10048 | ასკოლი-რიმინი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10049 | ლივორნო-ბრეშა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10382 | სტრასბური-ლანსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10488 | ბანიკი-სპარტა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10537 | ჰამარბიუ-მალმიო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11040 | კრილია-შინიკი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11042 | ლოკომოტივი-დინამო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11048 | ასკოლი-რიმინი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11049 | ლივორნო-ბრეშა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11382 | სტრასბური-ლანსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11488 | ბანიკი-სპარტა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11537 | ჰამარბიუ-მალმიო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15040 | კრილია-შინიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ლოკომოტივი-დინამო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15048 | ასკოლი-რიმინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | ლივორნო-ბრეშა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15382 | სტრასბური-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15488 | ბანიკი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15537 | ჰამარბიუ-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16040 | კრილია-შინიკი | 1.10 | 5.50 |
| 16042 | ლოკომოტივი-დინამო | 1.80 | 1.85 |
| 16044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.65 | 2.05 |
| 16048 | ასკოლი-რიმინი | 1.55 | 2.20 |
| 16049 | ლივორნო-ბრეშა | 1.40 | 2.55 |
| 16082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.80 |
| 16097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.22 | 3.40 |
| 16181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1.25 | 3.40 |
| 16382 | სტრასბური-ლანსი | 1.65 | 2.05 |
| 16488 | ბანიკი-სპარტა | 1.80 | 1.85 |
| 16522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.10 | 5.50 |
| 16537 | ჰამარბიუ-მალმიო | 1.50 | 2.30 |
| 16538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.17 | 4.10 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14040 | კრილია-შინიკი | 1.20 | 2.60 |
| 14042 | ლოკომოტივი-დინამო | 1.90 | 1.90 |
| 14044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.80 | 2.00 |
| 14048 | ასკოლი-რიმინი | 1.80 | 2.00 |
| 14049 | ლივორნო-ბრეშა | 1.70 | 2.20 |
| 14082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.95 | 1.85 |
| 14097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.30 | 2.50 |
| 14181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1.45 | 2.40 |
| 14382 | სტრასბური-ლანსი | 1.80 | 2.00 |
| 14488 | ბანიკი-სპარტა | 1.90 | 1.90 |
| 14522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.20 | 2.60 |
| 14537 | ჰამარბიუ-მალმიო | 1.75 | 2.10 |
| 14538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.30 | 2.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12040 | კრილია-შინიკი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12042 | ლოკომოტივი-დინამო 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12044 | მარიტიმუ-ნასიონალი 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12048 | ასკოლი-რიმინი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12049 | ლივორნო-ბრეშა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12097 | ბირმინგემი-ქოვენთრი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12382 | სტრასბური-ლანსი 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი 2,5 | 2.10 | 1.60 | 4.70 |
| 12537 | ჰამარბიუ-მალმიო 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13040 | კრილია-შინიკი | 1.90 | 1.70 |
| 13042 | ლოკომოტივი-დინამო | 1.60 | 1.90 |
| 13044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.70 | 1.90 |
| 13048 | ასკოლი-რიმინი | 1.70 | 1.90 |
| 13049 | ლივორნო-ბრეშა | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.20 |
| 13097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.60 | 2.00 |
| 13181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1.70 | 1.90 |
| 13382 | სტრასბური-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.70 | 2.00 |
| 13537 | ჰამარბიუ-მალმიო | 1.60 | 2.00 |
| 13538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17040 | კრილია-შინიკი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ლოკომოტივი-დინამო | 1.85 | 1.95 |
| 17044 | მარიტიმუ-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ასკოლი-რიმინი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | ლივორნო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1.85 | 1.95 |
| 17382 | სტრასბური-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17488 | ბანიკი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17522 | ბრიონდბიუ-ჰორსენსი | 1.85 | 1.95 |
| 17537 | ჰამარბიუ-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17538 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ჩელსიმ შეისუნთქა



„ჩელსიში" საყურადღებო პროცესებია: ლონდონელებმა უცხოეთში მომუშავე სკაუტთა თითქმის ორი მესამედი სამსახურიდან გაუშვეს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ „ლურჯების" რუს მეპატრონე რომან აბრამოვიჩს კლუბზე ფულის გადამეტებული ხარჯვა მობეზრდა და ზარალის დასათვლელად დავთრებში ჩაიხედა. როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ოლიგარქი ვალებმა შეაწუხა. ბოლოს და ბოლოს, „ჩელსის" პირადად მისი 578 მილიონი გირვანქა მართებს.

მოკლედ ასე, პარასკევს ინგლისურმა კლუბმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი 25 სკაუტიდან თხუთმეტს ჯამაგირი შეუწყვიტა. შემცირებაში მოყვა გერმანიის ნაკრების ოდინდელი ფეხბურთელი რაინერ ბონჰოფიც. მათი ხელფასი ჯამში 100 ათას გირვანქას უტოლდებოდა.

აბრამოვიჩის გამკაცრება მხოლოდ სკაუტებს როდი შეეხო. შეიზღუდა, არც მეტი, არც ნაკლები, გუნდის მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარიც. ბრაზილიელი სპეციალისტი, რომლის ხელმძღვანელობით „ჩელსიმ" შაბათს „სანდერლენდს" 5:0 გადაუარბინა, საიანვრო ტრანსფერებში შეზღუდეს. წარმოგიდგენიათ? ტრანსფერი ყველაზე მხარჯველმა კლუბმაც კი შეზღუდა.

როგორც საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ლონდონელთა აღმასრულებელი შეფის, პიტერ კინიონის ნათქვამი, რომ აბრამოვიჩს პლუს-მინუსის გასწორედა 2010 წლისთვის აქვს გადაწყვეტილი, არარეალურია. სკეპტიკოსები ამბობენ, რომ მარტო ამ წელიწადში „ლურჯებმა" 74 მილიონი დაკარგეს, სულ კი, მათი დავალიანება 736 მილიონის ტოლია. ერთი სიტყვით, სკაუტების დათხოვნა მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული ღონისძიებაა, მაგრამ ის მაინც მიანიშნებს, რომ კლუბში სტრატეგიის ცვლაა ჩაფიქრებული.

დაადასტურა რა შემცირებები, „ჩელსის" პრესმდივანმა განაცხადა: „ჩვენ სკაუტთა სისტემას ისე გარდავქმნით, რომ ყურადღება ძირითად პრიორიტებსა და საკვანძო შენაძენებზე იყოს მობილიზებული".

პრესკონფერენციაზე ამავე თემას შეეხო სკოლარიც: „ფულის ხარჯვას მხოლოდ „ჩელსი" როდი ამცირებს. მთელს მსოფლიოში ერთი და იგივე სურათია. ამიერიდან კლუბები იმდენს აღარ დახარჯავენ, რამდენსაც აქამდე ხარჯავდნენ".

საინტერესოა, რომ ბრაზილიელის თქმით, მას... რობინიოს მაგიერი სჭირდება, იმ რობინიოსი, რომელსაც ლონდონელები ზაფხულზე ყიდულობდნენ, მაგრამ ვერ იყიდეს — რობინიო სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს „მანჩესტერ სიტიმ" წაიყვანა — თუმცა, სკოლარი ახალი მოთამაშის შესაძენად ფულის აბრამოვიჩისთვის გამორთმევას არ აპირებს.

„ფეხბურთში რაიმეს შესაცვლელად ყოველთვის ფული როდია საჭირო. კიდევ კარგი, „ჩელსიც" სწორედ ასე ფიქრობს. ეს ძველებურისგან განსხვავებული ხედვაა" — თქვა მწვრთნელმა, რომელიც ახლის საყიდელ ფულს ძველების გაყიდვით იშოვნის.

როგორც ამბობენ, აბრამოვიჩმა, ვისი ქონებაც ინგლისურ გირვანქებში 11 მილიარდის ტოლია, ფინანსური ბაზრების კოლაფსის გამო მარტო გასულ თვეში 12 მილიონი დაკარგა. ყველაზე მეტად მას ფოლადის კომპანიის „ევრაზ გრუპის" ამბები შეხებია, თუმცა მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ზარალი მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

**ბაჩუნა ძიდია**

# ინტერვიუ ინგლისურის გაკვეთილიდან

**სად არის** და რას აკეთებს „ინტერის" ყოფილი მწვრთნელი რობერტო მანჩინი? ნუ გაგიკვირდებათ და, ის ამჟამად ლონდონშია, სადაც ინგლისურ ენას ეუფლება. ამბობენ, რომ 44 წლის იტალიელი ვარსკვლავყოფილი პრემიერლიგიდან შემოთავაზებას ელის, რაც, შესაძლოა, საფუძველმოკლებული ჭორი სულაც არ იყოს. თუ Max magazine-სთვის მიცემული ინტერვიუთი ვიმსჯელებთ, მანჩინი ნამდვილად არ ჰგავს ადამიანს, რომელიც უახლოეს მომავალში იტალიაში აპირებდეს დაბრუნებას, თუმცა ფეხბურთში დაბრუნება აშკარად გულში აქვს ამოჭრილი.

ხსენებულ ინტერვიუში მანჩინიმ „ინტერიდან" წასვლის შემდეგ პერიოდში განცდილ სასოწარკვეთასა და მრავალ სხვა საკითხზე ილაპარაკა.

„ფეხბურთის გარეშე ცხოვრებამ თავიდან შოკი მომგვარა. ვინ იცის, ეს იმის ბრალი იყო, რომ თანამდებობიდან გაშვების გამო გულში დიდი ბრაზი მქონდა დაგროვილი. თან, მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთში ვტრიალებდი და ხელის ერთი მოსმით ამ სამყაროს გარეთ დარჩენას ვერ შევეგუე საბედნიეროდ, თანდათანობით ემოციას ვძლიე და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ დასვენებამ მხოლოდ მარგო. ყოველ მომდევნო დღეს ვგრძნობ, რომ თავს უკეთესად ვგრძნობ".

ინტერვიუში „მანჩომ" ინგლისში გადაბარგების იმედი გამოთქვა, „ინტერზე" საუბრისგან კი თავი შეიკავა.




„სანამ ინგლისურად სრულყოფილად არ ვილაპარაკებ, ლონდონიდან ფეხსაც არ მოვიცვლი — თქვა „ბოლონიას", „სამპდორიას", „ლაციოს" და, ასე განსაჯეთ, 4 თამაშით „ლესტერ სიტის" ყოფილმა ფეხბურთელმა — თუმცა, ინგლისში მუშაობის რაიმე კონკრეტული ვარიანტი ჯერ არ მაქვს. იტალიაში? ნათქვამია, „არასოდეს თქვა არასოდესო", მაგრამ ჯერჯერობით ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. რაც შეეხება „ინტერს", როგორც გითხარით, ამ გუნდზე ლაპარაკი არ მსურს. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში „შავ-ლურჯები" განსაკუთრებით ძლიერები იყვნენ და იმედი მაქვს, წლეულსაც ასევე იქნებიან".

**ბაჩუნა ძიდია**

## ვიორელმა ვიორელი შეცვალა

**წარსულში** რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი ვიორელ მოლდოვანი რუმინული „ვასლუის" მთავარ მწვრთნელად დანიშნა. 36 წლის სპეციალისტმა ამ თანამდებობაზე ვიორელ ჰიზო შეცვალა. კონტრაქტის მიხედვით, მოლდოვანი კლუბთან ერთად 3 წლის განმავლობაში იმუშავებს.

„უბრალო საფეხბურთო ფილოსოფია მაქვს: ფეხბურთის თამაში სიამოვნებისთვის, ყველაფერი დანარჩენი არც ისე მნიშვნელოვანია — ბრძანა ვიორელმა — ვიცი, რომ ადვილი ამოცანა არ მეკისრება და თუ შედეგს ვერ მივაღწევ, დამითხოვენ".

## ეშლი კოულს დასვენება ემუქრება

**ლონდონის** „ჩელსის" მცველმა ეშლი კოულმა შესაძლოა, სამშაბათს „რომასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში ვერ მიიღოს მონაწილეობა. შაბათს „სანდერლენდთან" პრემიერლიგის მე-11 ტურის მატჩში ეშლი შეხვედრის 36-ე წუთზე შეცვალეს.

„ყველაფერს ხვალ შევიტყობთ, მაგრამ, როგოცრ ჩანს, ეშლი რომში ვერ გაემგზავრება. ის თავს ცუდად გრძნობს. მართალია, დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ შესაძლოა, კოულს რამდენიმე კვირაც გაუცდეს" — განაცხადა მატჩის შემდეგ „არისტოკრატთა" ბრაზილიელმა დამრიგებელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ.

## კნეჟევიჩის ოპერაცია

**ტურინის** „იუვენტუსის" მცველ დარიო კნეჟევიჩს მარცხენა მუხლზე ოპერაცია ჩაუტარდება. ხორვატმა ტრავმა სერია შ-ს მე-9 ტურში, „ბოლონიასთან" შეხვედრაში მიიღო. 26 წლის ფეხბურთელი „ბიანკონერიში" ამ ზაფხულს „ლივორნოდან" გადავიდა და „ბებერი ქალბატონის" რიგებში ოთხი მატჩის ჩატარება მოასწრო.

## ბერგამოული კონტრაქტები

**ბერგამოს** „ატალანტას" ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულებით მცველი ტომაზო მანფრედინი „ნერაძურიში" 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება. ახალი კონტრაქტები გააფორმეს ნახევარმცველმა ფერეირა პინტუმ და მცველმა კლაუდიო რივალტამაც. ორივეს ხელშეკრულება 2011 წლის ივნისამდეა ძალაში.

## ბენხამინ მონტეროსო გვატემალას დაუბრუნდა

**კონკაკაფის** ზონაში მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩებამდე, გვატემალის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ბენხამინ მონტეროსომ, რომელსაც წარსულში გვატემალელებთან მუშაობის სიამოვნება უკვე ორჯერ ჰქონია, ამ თანამდებობაზე რამონ მადარიაგა შეცვალა. მონტეროსოს საკმაოდ რთული ამოცანა ეკისრება, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის მე-4 რაუნდში გასასვლელად, გვატემალამ 19 ნოემბერს სტუმრად აშშ-ის ნაკრები უნდა დაამარცხოს, თანაც, ტრინიდადმა და ტობაგომ შინ კუბასთან უნდა წააგოს.

## ატლეტიკო აპელაციას ამზადებს

**მადრიდის** „ატლეტიკო" ლოზანაში მდებარე სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში აპელაციის შეტანას აპირებს. ამასწინათ, უეფას მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, „როხიბლანკომ" ჩემპიონთა ლიგის ერთი მატჩი ცარიელი ტრიბუნების თანხლებით უნდა ჩაატაროს. რა თქმა უნდა, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა ამ დადგენილებით უკმაყოფილო დარჩა, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველი განაჩენით, დედაქალაქელებს საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის მომდევნო სამი მატჩის ჩატარება აეკრძალათ. ასე რომ, უეფას ბოლო გადაწყვეტილება პირველთან შედარებით ბევრად ლმობიერია.

## მეთოფეების უიღბლო მატჩი

**„სტოკ სიტისთან"** შაბათის შეხვედრა ლონდონის „არსენალისთვის" ორმაგად წარუმატებელი გამოდგა: გარდა იმისა, რომ „მეთოფეებმა" ეს მატჩი 1:2 დათმეს, შესაძლოა, რამდენიმე კვირით ორი საკვანძო მოთამაშეც დაკარგონ. ემანუელ ადებაიორი 73-ე წუთზე კარლოს ვეგამ შეცვალა — ტოგოელი დაშავდა. მეორე ტრავმირებული თეო უოლკოტია, რომელიც „ბრიტანია სთედიუმზე" მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა და თამაშის ბოლოს მხრის ტრავმაც მიიღო. არსენ ვენგერის განცხადებით, ორივე ფეხბურთელს, სავარაუდოდ, რამდენიმეკვირიანი დასვენება მოუწევს.

## კივუმ მუხლი იტკინა

**მილანის** „ინტერის" მცველმა კრისტიან კივუმ „რეჯინასთან" სერია A-ს მე-11 ტურის მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო. რუმინელს საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება დღეს-ხვალ ჩაუტარდება, თუმცა დიდი შანსია, კრისტიანს ორი-სამი კვირა გაუცდეს, რაც ნელსონ რივასისა და ვალტერ სამუელის არყოფნის პირობებში, „ნერაძურისთვის" ერთობ დიდი დანაკლისი იქნება.

**არჩილ ძოზახიძე**

# ინგლისი
## პრემიერლიგა
### XI ტური

**ევერტონი 1:0 ფულემი**
1:0 საა (87)
ევერტონი: ჰოვარდი, ნევილი, იობო, იაგიელკა, ლესკოტი, არტეტა, ოსმანი, ფელაინი (საა 61), პიენაარი (ანიჩებე 76), საჰილი, იაკუბუ (ვოუგენი 84)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ფულემი: შვარცერი, პანტსილი, ჰიუზი, ჰანგელენდი, კონჩესკი, დევისი (ნოულანდი 89), ბულარდი (ბაირდი 83), მერფი, გერა (დემპსი 88), ზამორა, ჯონსონი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
მსაჯი: ლი მეისონი
31 278 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:1 ვესტ ჰემი**
0:1 მალინსი (21), 1:1 მიდო (83)
მიდლსბრო: ტერნბალი, ვეტერი (ჰოიტი 46), რიგოტი, პოგატეცი, ტეილორი, ალიადიერი, ონილი, დიგარდი (არკა 56), დაუნინგი, შანლი, ალვესი (მიდო 67)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, კოლინსი, აპსონი, ილუნგა, ფუბერტი, კოლისონი, მალინსი, ბოა მორტე (ბოიერი 84), ბელამი, სირსი (ეტერინგტონი 73)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა
გაფრთხილება: ვეტერი, რიგოტი, არკა, ნილი, კოლისონი, ბოა მორტე, ბელამი
მსაჯი: ანდრე მარინერი
25 164 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 2:2 ბლექბერნი**
0:1 მაკკარტი (13პ), 1:1 ბედნარი (55), 2:1 მილერი (62), 2:2 ენდრიუსი (89)
ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუიველუნი, დონკი (ჰომპენსკი 46), ოლსონი, რობინსონი, კორენი, გრინინგი, მორისონი (ბრანტი 69), ბორხა ვალერო, ბედნარი, მილერი (მური 80)
მწვრთნელი: ტონი მოუბრეი
ბლექბერნი: რობინსონი, სიმპსონი (ქერიმოღლუ 46), სამბა, ნელსონი, ოლსონი (პედერსენი 62), ემერტონი (ხიზანიშვილი 77), ენდრიუსი, გრელა, უორნოკი, მაკკარტი, რობერტსი
მწვრთნელი: პოლ ინსი
გაფრთხილება: დონკი, ზუიველუნი, ვალერო, მაკკარტი, ხიზანიშვილი
მსაჯი: მაიკ ჯონსი
24 976 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:2 უიგანი**
0:1 ზაქი (45პ), 1:1 კრანჩარი (82), 1:2 ჰესკი (90)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ბელჰაჯი (ჰამაროტი 90), დიოპი (უტაკა 73), დიარა, დევისი, ტრაორე (კრანჩარი 46), კრაუჩი, დეფო
მწვრთნელი: ტონი ადამსი
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, ფიგეროა, ვალენსია, პალასიოსი, კატერმოლი, კუმასი, ჰესკი, ზაქი (კამარა 89)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: კატერმოლი, ბრამბლი, ფიგეროა
მსაჯი: პიტერ უოლტონი
18 416 მაყურებელი

**სტოკი 2:1 არსენალი**
1:0 ფულერი (11), 2:0 ოლოფინჯანა (73), 2:1 კლიში (90)
სტოკი: სორენსენი, გრიფინი, აბდულაი ფაიე, შალკროსი, ჰიგინბოთემი, ამდი ფაიე, ოლოფინჯანა, გიაო (ველანი 78), დელაპი, ფულერი (კრესველი 86), სიდიბე (კიტსონი 90)
მწვრთნელი: ტონი პულისი
არსენალი: ალმუნია, სანია (უოლკოტი 57), ტურე, სილვესტრი, კლიში, დენილსონი (ვან პერსი 65), ფაბრეგასი, სონგი, დიაბი, ადებაიორი (ველა 72), ბენდტნერი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხთილება: ჰიგინბოთემი, სიდიბე, დელაპი, კრესველი, ადებაიორი, ფაბრეგასი
გაძევება: ვან პერსი (76)
მსაჯი: რობ სტაილსი
26 704 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:3 ჰალი**
1:0 რონალდუ (3), 1:1 კუზენი (23), 2:1 კარიკი (29), 3:1 რონალდუ (44), 4:1 ვიდიჩი (57), 4:2 მენდი (69), 4:3 ჯოვანი (82პ)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი (გიგზი 72), ანდერსონი (ოში 88), ნანი (ტევესი 64), ბერბატოვი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჰალი: მაიჰილი, მაკშეინი, ტერნერი, ზაიატე, დოუსონი, მარლი, ჰიუზი (მენდი 59), ბოატენგი (ფოლანი 86), ჯოვანი, კინგი (ჰალმოსი 63), კუზენი
მწვრთნელი: ფილ ბრაუნი
გაფრთხილება: რუნი, ტევესი, ტერნერი, მენდი
მსაჯი: მაიკ დინი
75 398 მაყურებელი

**ჩელსი 5:0 სანდერლენდი**
1:0 ალექსი (27), 2:0, 3:0 ანელკა (30, 45), 4:0 ლამპარდი (51), 5:0 ანელკა (53)
ჩელსი: ჩეჩი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ე. კოული (ბრიჯი 36), მიკელი, ჯ. კოული (დროგბა 63), დეკუ, ლამპარდი, მალუდა, ანელკა (მინეირო 75)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
სანდერლენდი: ფულოპი, ჩიმბონდა, ნოსვორთი, ფერდინანდი, მაკკარტნი, მალბრანკი (ჰენდერსონი 46), ვაიტჰედი, ტაინიო, რიჩარდსონი, ვაგჰორნი (დიუფი 46), ჯონსი (სისე 58)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: ტაინიო
მსაჯი: მარტინ ეტკინსონი
41 693 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 ლივერპული**
0:1 კაიტი (3), 1:1 კარაგერი (70ს.კ.), 2:1 პავლიუჩენკო (90)
ტოტენჰემი: გომესი, ჩორლუკა, კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო (ჰატონი 46), ბენთლი, ზოკორა, ჰადლსტოუნი, ოჰარა (პავლიუჩენკო 46), მოდრიჩი (ლენონი 75), ბენტი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, დოსენა, კაიტი, მასკერანო, ალონსო, რიერა (ბენაიუნი 78), ჯერარდი, კინი (ბაბელი 66)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კინგი, ჯერარდი, კარაგერი
მსაჯი: ფილ დოუდი
36 183 მაყურებელი

**ბოლტონი 2:0 სიტი**
1:0 გარდნერი (77), 2:0 დანი (88ს.კ.)
ბოლტონი: იასკელაინენი, სტაინსონი, კაჰილი, ობრაიენი, სამუელი, რიგა (გარდნერი 43), მაკკანი, ნოლანი, მუამბა, ტეილორი, დევისი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
სიტი: ჰარტი, საბალეტა, დანი, ბენ-ჰაიმი, რიჩარდსი, რაით-ფილიპსი, კომპანი, აირლენდი, ელანო (ჰამანი 69), ევანსი (სტარიჯი 69), რობინიო
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: იასკელაინენი, საბალეტა
მსაჯი: მაიკ რაილი
21 095 მაყურებელი

# ჰარი ჯადოქარი


ნიკოლა ანელკამ (№39) პირველი ჩელსური ჰეთ თრიკი მიითვალა

**სასწაულმოქმედმა** ჰარი რედნაპმა „ტოტენჰემი“ ერთ კვირაში ცხრილის ფსკერიდან ამოათრია. ჯერ „ბოლტონს“ მოუგო, მერე „არსენალს“ ბოლო წუთზე ქულა გამოჰგლიჯა და 23 მარტის შემდეგ დაუმარცხებელ „ლივერპულსაც“, ასევე ბოლო წუთზე, სამი ქულა დაატოვებინა.

შეცვლაზე შესული რომან პავლიუჩენკოს გოლმა „ტოტენჰემი“ ბოლო ადგილიდან დასძრა, „ლივერპულს“ კი პირველი ადგილი დააკარგვინა.

დირკ კაიტმა მახვილი კუთხიდან ბურთი ხარიხის ქვეშ შეაძვრინა, ჯეიმი კარაგერმა კი საკუთარ კარში თავით შეაგდო და გაათანაბრა.

დევიდ ბენტლის უცნაურად დარტყმული რეინამ მოიგერია, დარენ ბენტმა პავლიუჩენკოს დაუგორა და რუსმა ორი მეტრიდან გაიტანა.

ასე დასრულდა რაფაელ ბენიტესის გუნდის უძლეველი სვლა. „ტოტენჰემს“ „ლივერპული“ 2004 წლიდან არ დაემარცხებინა და ბოლო სამ საშინაო მატჩში გოლი არ გაეტანა. ჰარი რედნაპმა „დეზებს“ ჯადოები მოუხსნა.

„პირველ ტაიმში ერთი ფორვარდით ვერ ვიხეირეთ, მეორეში კი პავლიუჩენკოც შევუშვი და უკეთესად შევუტიეთ. ისე, რამდენჯერმე კი მართლა გადავრჩით, სანამ მეორეს გავიტანდით“ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა.

„ამდენი მომენტის გამოუყენებლობა არ შეიძლება — დაიჩივლა რაფაელ ბენიტესმა — ახლაც არ მჯერა, რომ წავაგეთ“.

ნიკოლა ანელკამ პირველი ჩელსური ჰეთ თრიკი „სანდერლენდთან“ მიითვალა, ფრენკ ლამპარდმა კი მეასე პრემიერლიგური გოლი შეაგდო. სტუმართა მწვრთნელი როი კინი მსაჯთან კამათისთვის გააძევეს და ტრიბუნაზე აბრძანეს. ბურთების უკეთესი სხვაობით „ჩელსიმ“ „ლივერპულს“ გადაასწრო.

„ოლდ ტრეფორდის“ რამდენი სტუმარი გუნდი დაიკვეხნის „მანჩესტერის“ კარში სამი გოლის გატანას? ასეთი ბევრი არ იქნება და მათ შორის მოხვდა „ჰალი“, რომელმაც მასპინძლები მაგრად აანერვიულა.

„მანჩესტერს“ შინ სამი გოლი თითქმის სამი წელია, არ გაეშვა და კვირას მოახერხა.

კრიშტიანუ რონალდუმ და მაიკლ კარიკმა ძელ-გოლები გაიტანეს. დანიელ კუზენმა ამ გოლებს შორის თავურით შეაგდო.

რონალდუმაც თავით მესამე მაყოლა და ზედიზედ მეორე მატჩში დუბლი შეასრულა. ნემანა ვიდიჩმა ახლოდან ფეხით გაიტანა და 4:1-ზე „მანჩესტერმა“ თავი დაიარხეინა. შეცვლაზე შესულმა ჰალელმა ბერნარ მენდიმ ჯერ ერთი გაქვითა, მერე პენალტი მოინგრა და ჯოვანიმ სხვაობა ერთამდე რომ შეამცირა, მასპინძლებს ფეხი აერიათ და ნერვიულობა დაიწყეს, თუმც იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს, ათ მატჩს ეყოფოდა.

„ნაცვლად იმისა, რომ 10-11 ბურთის სხვაობით მოგვეგო, ბოლოს ანგარიშის შენარჩუნებაზე ვთამაშობდით და ამის გამო ძალიან გაბრაზებული ვარ. მარტო რონალდუს ხუთი თუ ექვსი უნდა გაეტანა, ბერბატოვის მომენტების სათვალავი კი ამერია“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა.

„რა სამწუხაროა, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ სამს გაიტან და ქულასაც ვერ აიღებ“ — დაიჩივლა სტუმართა თავკაცმა ფილ ბრაუნმა.

ეს რა უქნა „ტოტენჰემმა“ „არსენალს“, რომ ოთხშაბათის 4:4-ის მერე „მეთოფეები“ გონს ვერ მოვიდნენ და დაშოკილები სტოკიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. თან ორივე გოლი აუტიდან გაუშვეს. რორი დელაპი აუტებს ხელით, როგორც ფეხით, ისე აწვდის და მისი პასებით ჯერ ფულერმა გაიტანა, მერე ოლოფინჯანამ.

ბოლო წუთზე გაელ კლიშის დარტყმული მცველს მოხვდა და კარში შევარდა.

რობინ ვან პერსი მეკარესთან უხეშობისთვის გააძევეს, ადებაიორმა და უოლკოტმა კი ტრავმირებულებმა ჩაამთავრეს მატჩი.

„პორტსმუთის“ ახალი მწვრთნელი ტონი ადამსი პირველ საშინაო შეხვედრაში „უიგანთან“ დამარცხდა. ამრ ზაქიმ სტუმრები პენალტით დააწინაურა, კრანჩარმა კი საჯარიმოს გარედან დარტყმით გაათანაბრა. მასპინძლებმა ქულა მაინც ვერ შეინარჩუნეს, რადგან ბოლო წუთზე ემილ ჰესკიმ გაიტანა და „უიგანის“ ოთხმატჩიანი მარცხიანი სერია მოგებით შეწყვიტა.

შეცვლაზე შესულმა ლუი საამ „ევერტონის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა და გუნდს სეზონში პირველი საშინაო მატჩი „ფულემთან“ მოაგებინა.

ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ, „ვესტ ჰემმა“ ქულა მიითვალა, თუმცა მიდლსბროდან სამის წაღებაც შეეძლო, რადგან საათზე მეტხანს მალინსის გოლით მასპინძლებს უგებდა და ბოროელებს ფრე აჰმედ მიდოს გოლმა მოუტანა.

„ვესტ ბრომვიჩი“ — „ბლექბერნის“ მატჩის შემდეგ სტუმართა გუნდის მწვრთნელმა პოლ ინსმა კბილი მსაჯს გაჰკრა.

ბენი მაკარტიმ პენალტი გაიტანა, მაგრამ მეგოლე მალე გააძევეს: ჯერ უხეშობისთვის, მერე კი მოედნის ცენტრში ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს.

ინსმა თქვა, რომ არც უხეშობა ყოფილა და ბურთიც ხელზე კი არა, მხარზე მოხვდა, მსაჯმა კი ვერც ერთი მომენტი შეაფასა და ვერც მეორე.

„ბოლტონს“ პირველი ტურის მერე ხუთი საშინაო მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო და მეექვსე ცდაზე ნავსი გუშინ, „სიტისთან“ გატეხა. გარდნერმა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ორი მეტრიდან გაიტანა და ზუსტად ასეთივე შეაგდო თავის კარში რიჩარდ დანმა, რომელიც კუთხურზე გადაგდებას ცდილობდა. „სიტი“ მიჯრით მეორე ტურში 0:2 დამარცხდა. 40-მილიონიან რობინიოს დღეს თუ არა, მის სანაცვლოდ გადახდილ თანხას ხვალ მაინც შეახსენებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 27:4 | 26 |
| ლივერპული | 11 | 8 | 2 | 1 | 16:8 | 26 |
| მანჩესტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 21 |
| არსენალი | 11 | 6 | 2 | 3 | 23:12 | 20 |
| ასტონ ვილა | 10 | 6 | 2 | 2 | 19:12 | 20 |
| ჰალი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:18 | 20 |
| ევერტონი | 11 | 4 | [illegible] | 4 | 15:19 | 15 |
| მიდლსბრო | 11 | 4 | 2 | 5 | 11:16 | 14 |
| პორტსმუთი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:17 | 14 |
| სიტი | 11 | 4 | 1 | 6 | 23:18 | 13 |
| ვესტ ჰემი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:19 | 13 |
| სტოკი | 11 | 4 | 1 | 6 | 13:19 | 13 |
| ბლექბერნი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:20 | 13 |
| სანდერლენდი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:16 | 12 |
| ფულემი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:9 | 11 |
| უიგანი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | 11 |
| ბოლტონი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:13 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:18 | 11 |
| ტოტენჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:17 | 9 |
| ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:18 | 9 |

**XII ტური**
**8 ნოემბერი**
არსენალი — მანჩესტერი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ბლექბერნი — ჩელსი
ფულემი — ნიუკასლი
ჰალი — ბოლტონი
ლივერპული — ვესტ ბრომვიჩი
სიტი — ტოტენჰემი
სანდერლენდი — პორტსმუთი
ვესტ ჰემი — ევერტონი
უიგანი — სტოკი

## ჩემპიონლიგა
### VIII ტური

ვულვზი — ბრისტოლი 2:0; ბარნსლი — ნორვიჩი 0:0; ბლექპული — ქოვენთრი 1:1; ბარნლი — პრესტონი 3:1; კარდიფი — ბირმინგემი 1:2; ჩარლტონი — უენსდი 1:2; დონკასტერი — საუთჰემპტონი 0:2; პლიმუთი — ნოტინგემი 1:0; ქუინზ პარკი — დერბი 0:2; რედინგი — სუონსი 4:0; შეფილდი — უოტფორდი 2:1; იფსვიჩი — კრ. პალასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 15 | 11 | 1 | 3 | 35:23 | 34 |
| ბირმინგემი | 14 | 9 | 3 | 2 | 18:9 | 30 |
| რედინგი | 15 | 8 | 3 | 4 | 33:16 | 27 |
| ბარნლი | 15 | 7 | 5 | 3 | 21:18 | 26 |
| შეფილდი | 15 | 7 | 4 | 4 | 18:8 | 25 |
| კარდიფი | 15 | 6 | 7 | 2 | 19:13 | 25 |
| ქუინზ პარკი | 15 | 6 | 4 | 5 | 14:14 | 22 |
| იფსვიჩი | 15 | 5 | 6 | 4 | 23:16 | 21 |
| დერბი | 15 | 5 | 6 | 4 | 19:17 | 21 |
| სუონსი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:17 | 21 |
| ბრისტოლი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:16 | 21 |
| პლიმუთი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:18 | 21 |
| ბლექპული | 15 | 5 | 6 | 4 | 17:19 | 21 |
| პრესტონი | 15 | 6 | 2 | 7 | 18:20 | 20 |
| უენსდი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:25 | 19 |
| ბარნსლი | 15 | 5 | 3 | 7 | 14:17 | 18 |
| კრ. პალასი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:17 | 17 |
| ქოვენთრი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:17 | 17 |
| ნორვიჩი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:21 | 16 |
| საუთჰემპტონი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:24 | 16 |
| უოტფორდი | 15 | 4 | 3 | 8 | 23:27 | 15 |
| ჩარლტონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:21 | 15 |
| ნოტინგემი | 15 | 2 | 4 | 9 | 12:24 | 10 |
| დონკასტერი | 15 | 2 | 3 | 10 | 7:22 | 9 |

## I ლიგა

პიტერბრო — ჰერეფორდი 2:0; სკანთორპი — სუინდონი 3:3; საუთენდი — კოლჩესტერი 3:3; სტოკ პორტი — კარლაილი 3:0; ბრაიტონი — მილუოლი 4:1; უოლსოლი — ნორთჰემპტონი 3:1; ჩელტნემი — ლიდსი 0:1; ჰადერსფილდი — კრიუ 3:2; ლესტერი — როვერსი 2:1; ლეიტონი — ჰარტლპული 1:0; დონსი — ტრანმერი 1:0; ოლდემი — იოვილი 0:2

## II ლიგა

მაკლსფილდი — ჯილინგემი 0:1; მორეკემბი — ალდერშოტი 2:0; ნოთსი — ბერი 0:1; როთერჰემი — უიკომბი 0:0; ბორნმუთი — ჩესტერფილდი 1:1; შრუსბერი — ლუტონი 3:0; ბრედფორდი — ბარნეტი 3:3; ბრენტფორდი — როჩდეილი 1:2; დაგენემი — აკრინგტონი 0:0; ექსეტერი — ჩესტერი 2:0; გრიმსბი — დარლინგტონი 1:2; ლინკოლნი — პორტ ვეილი 0:1

## ჩრდილოეთ კონფერენსლიგა

ტელფორდი — ჰაკნოლი 3:1; ალფრეტონი — სტელიბრიჯი 2:1; ბარსკო — ჰაროგეიტი 0:2; დროილსდენი — ბლითი 2:0; ფარსლი — ვოქსჰოლი 0:1; ფლიტვუდი — ჰინკლი 1:0; ჰაიდი — გეითსჰედი 2:5; კინგს ლინი — სოლიჰალი 3:0; საუთპორტი — ვორკინგტონი 0:0; სტეფორდი — რედიჩი 0:1; ჰემფორთი — გეინსბორო 0:0

## სამხრეთ კონფერენსლიგა

ბასინგსტოკი — ნიუპორტი 0:0; ბიშოფსი — დორჩესტერი 0:2; ბოგნორი — ბრეინტრი 0:2; ბრომლი — სტ ალბანსი 2:3; ჩელმსფორდი — უიმბლდონი 3:2; ისტლი — ჰემპტონი 2:1; ფიშერი — თაროკი 0:3; ჰეიესი — ჰავანტი 2:1; თიმ ბათი — მეიდენჰედი 0:2; უესტონი — ბათი 0:1; უორჩესტერი — უელინგი 0:1

## კონფერენსლიგა

ნორთვიჩი — ისტბორნი 1:2; რექსემი — ლუისი 2:0; ალტრინჰემი — ჰისტონი 0:1; კიდერმინსტერი — გრეისი 2:0; უოკინგი — სტივენიჯი 0:1; კეტერინგი — ვეიმუთი 0:1; ტორკი — მენსფილდი 2:0; კემბრიჯი — რაშდენი 0:0; ბარტონი — ებსფლითი 3:1; ოქსფორდი — იორკი 1:0; ბაროუ — ფორესტ გრინი 3:1

# ჰოფენჰაიმი გადაცმული კაიზერსლაუტერნია?

## გერმანია
### ბუნდესლიგა XI ტური

**გლადბახი 1:2 აინტრახტი**
1:0 რუსი (12), 1:1 ფენინი (16), 1:2 ფინკი (52)
გლადბახი: გოსპოდარეკი, ლეველსი, პაუვე, დიმსი, ფოიგტი (ბერგი 68), ალბერმანი, სვერდი (ბრედლი 56), მარინი, ბაუმიოჰანი (ნოივილი 63), მატმური, ფრენდი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ოხსი, რუსი, გალინდო, სპიშერი, ფინკი, შტაინჰოფერი, ლიუბიჩიჩი, ქორქმაზი (ტოსკი 86), ფენინი, ლიბეროპულოსი (ძუმუ 88)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
მსაჯი: მაიერი
44 773 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ბოხუმი**
0:1 ზდებელი (27), 1:1 ზიდანი (44)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ოვომოიელა, სუბოტიჩი, ჰუმელსი (კოვაჩი 46), ლი, ტინგა, კელი, კრინგე, ბლაშკოვსკი (კლიმოვიჩი 81), ზიდანი, ფრეი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ბოხუმი: ფერნანდესი, შრიოდერი (პფერცელი 41), მალტრიცი, იაია, ბონიგი, ზდებელი (მავრაი 73), ფრაიერი, ფუქსი, აზაუაჲი, ჰაშემიანი (მისიელი 64), სინამი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: კრინგე, აზაუაჲი, ზდებელი, ფრაიერი
მსაჯი: კირხერი
71 600 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:0 ვოლფსბურგი**
1:0 ბარნეტა (57), 2:0 კისლინგი (65)
ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, ფრიდრიხი, ენრიკე კადლეცი, როლფესი, აუგუშტუ (შვეგლერი 83), ვიდალი, ბარნეტა (ჰაგი 89), კისლინგი (გეკასი 83)
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
ვოლფსბურგი: ბენალიო, ძაკარდო (დეჟაგა 69), მადლუნგი, ბარძალი, შეფერი, ჟოსუე, რიტერი, გენტნერი, ნისიმოვიჩი (ჰასებე 19), გრაფიტე (კაიუბი 69), ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ძაკარდო
მსაჯი: შტარკი
19 200 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:3 კიოლნი**
0:1, 0:2 ნოვაკოვიჩი (3, 61), 1:2 ჰილბერტი (69), 1:3 პეტიტი (90)
შტუტგარტი: ლემანი, ბულარუზი (ელსონი 55), თაშჩი, დელპიერი, ბოკა, პარდო (მარიკა 61), ხედირა, ჰიცლშპერგერი (ლანიგი 68), კაკაუ, ჰილბერტი, გომესი
მწვრთნელი: მარტინ ფეე
კიოლნი: მონდრაგონი, ბრეჩკო, გეერომელი, მოჰამადი, ვომე, მატიპი (მაკენა 32), პეტიტი, პეცონი, ანტარი, რადუ (სანუ 77), ნოვაკოვიჩი (შერცი 89)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ბოკა, მაკენა, ვომე, პეცონი, ანტარი, მონდრაგონე
მსაჯი: კინჰიოფერი
55 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 3:0 ჰამბურგი**
1:0 ბ. შულცი (5), 2:0 შლაუდრაფი (18), 3:0 შტაინერი (79)
ჰანოვერი: ფრომლოვიცი, ჩერუნდოლო, ბალიჩი, კ. შულცი, რაუში, ლალა, ბ. შულცი, შტაინერი, შლაუდრაფი (იანკოვი 88), ჰუსტი (კრებსი 84), ფორსელი (ჰანკე 70)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
ჰამბურგი: როსტი, დემელი, რაინჰარდტი, მატჰაისენი, აოგო (ტიაგუ ნევეში 75), იაროლიმი, ალექს სილვა, ტროხოვსკი, ოლიჩი, გერერო (პიტროიპა 26), პეტრიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: ბალიჩი, დემელი
მსაჯი: ფანდელი
49 000 მაყურებელი

**ბაიერნი 3:1 არმინია**
1:0 კლოზე (25), 1:1 ვიხნიარეკი (30პ), 2:1 რიბერი (76), 3:1 პოდოლსკი (84პ)
ბაიერნი: რენზინგი, ლელი, გუსოუ დემიკელისი, ზე რობერტუ ოტლი (კროოსი 46), ვან ბოიმელი, შვაინშტაიგერი (პოდოლსკი 46), ბოროვსკი, რიბერი (სოსა 86), კლოზე
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
არმინია: აილჰოფი, ფიშერი (კაუფი 73), ჰერციგი, ბოლმანი, შულერი (რაუ 66), უჩერა, ტეშე, კატონგო, მარქსი (აიგნერი 81), კამპერი, ვიხნიარეკი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ოტლი, ჰერციგი, ფიშერი, კამპერი, ვიხნიარეკი, კაუფი
გაძევება: ტეშე (82)
მსაჯი: შმიდტი
69 000 მაყურებელი



ფრანკ რიბერის (მარცხნივ) გერმანიაში ვეღარავინ აჩერებს

**ჰოფენჰაიმი 4:1 კარლსრუე**
1:0 იბიშევიჩი (15), 1:1 ფრაიზი (20), 2:1 ობასი (67), 3:1 იბიშევიჩი (75), 4:1 ობასი (78)
ჰოფენჰაიმი: ჰაასი, ბეკი, იაისლე, კომპერი, იბერტსბერგერი (იანკერი 46), ვაისი (ტებერი 83), ვორისა (სალიჰოვიჩი 38), ედუარდო, ობასი, იბიშევიჩი, ბა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
კარლსრუე: მილერი, გიორლიცი, სებასტიანი, შტოლი, აიხნერი, ადუობე (პორჩელო 71), მუცელი, ფრაიზი (ჩელოცი 85), იაშვილი (ტიმი 65), კარნელი, კენედი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
გაფრთხილება: ბეკი, ებერი, სებასტიანი, აიხნერი, მუცელი
მსაჯი: ბრიხი
26 300 მაყურებელი

**კოტბუსი 0:2 შალკე**
0:1 ვესტერმანი (80), 0:2 ფარფანი (90)
კოტბუსი: ტრემელი, პავიჩევიჩი, კუკელკა, ჩაგდაში, ციბიგი, კურტი, როსტი, რივიჩი (იელიჩი 83), სკელა, შაო (იულა 59), სიორენსენი (ვასილიევიჩი 88)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, კობიაშვილი, ჯოუნსი, ენგელარი, რაკიკიჩი (ერნსტი 68), ჰალილ ალთინთოფი (ფარფანი 61), შტრაიტი (ასამოა 88), კურანი
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
გაფრთხილება: რივიჩი, ციბიგი, რაფინია, ვესტერმანი, ერნსტი
გაძევება: ენგელარი (52)
მსაჯი: ვაინერი
16 640 მაყურებელი

**ვერდერი 5:1 ჰერტა**
1:0 კაჩარი (14), 2:0 დიეგო (20), 3:0 როსენბერგი (42), 4:0 პისარო (59), 4:1 სისერუ (68), 5:1 პისარო (85)
ვერდერი: ვიზე, პრიოდლი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ფრინგსი, იოზილი (ჰუნტი 76), დიეგო (ვრანიეში 88), როსენბერგი (სანოგო 82), პისარო
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰერტა: გენგი, შაჰედი, ფრიდრიხი, შიმუნიჩი, შტაინი (კაკა 63), კაჩარი (ლუშტენბერგერი 72), დარდაი, ნიკუ (დომოვჩიისკი 79), სისერუ, ვორონინი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: პრიოდლი, ფრინგსი
მსაჯი: ზეემანი
40 218 მაყურებელი

**რა კაცია** ფრანკ რიბერი — ზედიზედ მესამე მატჩში მთავარ როლშია. „ვოლფსბურგს“ 0:2-ზე შემომბრუნებელი გოლი გაუტანა, „აინტრახტს“ 1:1-ზე — მეორე და შაბათსაც, „არმინიასთან“ ზეკლასი აჩვენა. ერთ რამედ ღირდა მისი ჩარბენა საკუთარი ნახევრიდან მეტოქის საჯარიმოში და თავისივე დაწყებული კომბინაციის გოლით დასრულება.

ამ რიბერობაში „ბაიერნი“ მესამე ადგილზე აცოცდა. „არმინიასთან“ კი ანგარიში მიროსლავ კლოზემ ცხრიანში გატანილით გახსნა. მარტინ დემიკელისმა ტრადიციას არ უღალატა და საკუთარ კარში გოლი მიიტანა — მეტოქე საპენალტედ წააქცია. წინა ტურში დემიკელისმა ავტოგოლი მიითვალა, იმის წინ ასევე პენალტი „აიკიდა“.

მერე იყო ფრანკ რიბერი და 2:1, ბოლოს კი დატანჯული ლუკაშ პოდოლსკის პენალტი. ნაკრებში კარგად მოთამაშე და კლუბში ჩაკარგულმა პოდოლსკიმ იურგენ კლინსმანი გაახარა: „ის უკვე ფორმაში შედის და მალე უფრო და უფრო უკეთ ათამაშდება. კმაყოფილი ვარ, რომ სამი ქულა ავიღეთ და ცხრილში კიდევ ერთი საფეხურით დავწინაურდით“.

5:2, 3:0, 3:1, 4:1 — ეს „ჰოფენჰაიმია“. უფრო ზუსტად კი, „ჰოფენჰაიმმა“ ბოლო ოთხი მატჩი ამ ანგარიშებით მოიგო. სამზე ნაკლები „კარლსრუესაც“ არ გაუტანა, რომ სხვებს არ სწყენოდათ და ისევ თავზე წამოაჯდა ბუნდესლიგელებს.

რალფ რანგნიკმა რაღაც საიდუმლო იცის და სანამ მეტოქეები გაშიფრავენ, შესაძლოა, „კაიზერსლაუტერნი“ გაიმეოროს. ოტო რეჰაგელმა 1997-ში ეს გუნდი ბუნდესლიგაში გადაიყვანა და პირველივე სეზონში ჩემპიონი გახადა.

„ჰოფენჰაიმს“ აფეთქებები სჩვევია. მატჩის რომელიღაც მონაკვეთში მოუმატებს, გოლებს ზედიზედ შეყრის და მერე სდიე. თან, ეს ვედაღ იბიშევიჩიც რომ გაგიჟდა? 11 ტურში 13 შეაგდო. აქამდე ოთხ წელიწადში („სენტ ლუისში“, „ჩიკაგოში“, პსჟ-ში, „დიჟონსა“ და „ალემანიაში“) 28 ჰქონდა გატანილი. გასულ სეზონში „ჰოფენჰაიმისთვის“ შვიდი გაიტანა, ახლა კი თერთმეტში უკვე ცამეტი მოასწრო.

„კარლსრუესთან“ მასპინძლები იბიშევიჩმა დააწინაურა, მაგრამ ფრაიზმა მალევე გაათანაბრა. მეორე ტაიმის 12-წუთიან მონაკვეთში „ჰოფენჰაიმი“ აფეთქდა და სამი ცალი შეაგდო.

„შალკეს“ „კოტბუსი“ გაუძალიანდა და სტუმრებს 52-ე წუთზე ენგელარიც გაუძევეს, თუმც „ხუმარებმა“ ბოლო ათ წუთში მოუმატეს და ჯერ ვესტერმანმა, მერე კი ფარფანმა გუნდს სამი ქულა მოუტანეს.

ბრემენის „ვერდერს“ დიეგო და პისარო დაუბრუნდნენ და „მუსიკოსებმაც“ „ჰერტასთან“ გაილაღეს. დიეგომ საუცხოო გოლი შეაგდო — კარისკენ ზურგით მდგომმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

ამ გოლამდე კაჩარმა საკუთარ კარში გაიტანა, მერე კი როსენბერგმა და პისარომ სხვაობა ოთხამდე გაზარდეს. სისერუმ თავურით ერთი გაქვითა და პისარომ ასევე თავურით, ოღონდ ნახტომში, 5:1 გახადა.

ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია „ჰანოვერმა“ „ჰამბურგთან“ შეწყვიტა. შულცმა და შლაუდრაფმა პირველ ტაიმში შეყარეს გოლები, შტაინერმა კი შესვენების შემდეგ მესამე მიაყოლა.

